1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**2**

თებერვალი

Контрольный экземпляр

ბიბლიოთეკა

თბილისი—1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილება

1968 წლის 5 იანვარი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარებამ დიდად შეუწყო ხელი ამ დაწესებულებათა მუშაობის გამოცოცხლებას, საგრძნობლად გაძლიერდა ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობა და კონტროლი აღნიშნული დაწესებულებებისადმი.

გაძლიერდა შრომის წითელი დროშის ორდენოსან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური და ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული სადგურების მეთოდური და პრაქტიკული დახმარება სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი.

დათვალიერების პერიოდში დაინერგა მუშაობის პრაქტიკაში ამ დაწესებულებათა დირექტორების, პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორების თათბირ-სემინარების ჩატარება, გამოცდილებათა გაზიარება-განზოგადება და სხვ.

რიგმა სკოლისგარეშე დაწესებულებებმა მასობრივ რესპუბლიკურ ღონისძიებებში პიონერ-მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმის შე-

დეგად საპრიზო ადგილები დაიკავეს და საკავშირო და ადგილობრივი მნიშვნელობის მედლები, სიგელები დაიმსახურეს.

ეროვნული

დათვალიერების პერიოდში განსაკუთრებით გაუმჯობესდა ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, სოხუმის, ბათუმის, მახარაძის, სამტრედიის, დუშეთის, ქობულეთის, ორჯონიკიძის, კასპის, გეგეჭკორის, წულუკიძის, ლანჩხუთის, თელავის, გალის, ამბროლაურის, ქ. თბილისის კიროვისა და ლენინის რაიონების, ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების, ქ. ქუთაისის, ცხინვალისა და გორის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების, ქ. ქუთაისისა და ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკების მუშაობა.

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით გაუმჯობესდა დუშეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, ვანის, სამტრედიის, ზესტაფონის, ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების საბინაო პირობები.

რესპუბლიკის ბევრ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესა და სახლებთან შეიქმნა მომღერალთა გუნდები, მუსიკალური ჯგუფები და ქორეოგრაფიული წრეები.

აღსანიშნავია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში. მრავალფეროვანი ღონისძიება ჩატარდა ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. რესპუბლიკის სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობა მიმართული იყო ბავშვთა ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებისაკენ. სკოლებთან, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან კავშირის განმტკიცების, მეთოდური და მასობრივი მუშაობის გაფართოების, წრეების, სექციების, კლუბების შემოქმედებითი კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებისა და სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავების, მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების, ბავშვთა ტექნიკური შემოქმედებისა და მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესებისაკენ. რესპუბლიკური მნიშვნელობის სკოლისგარეშე დაწესებულებებმა ჩაატარეს კლასის ხელმძღვანელთა, უფროს პიონერხელმძღვანელთა, კომკავშირის კომიტეტების მდივნების, გასვლითი სემინარები. მსგავსი სემინარები ჩატარდა აგრეთვე საგარეჯოს, თეთრიწყაროს, მარნეულის, კასპის, გორის, ვანის, მახარაძისა და სხვა რაიონებში. დათვალიერების პერიოდში შრომის

წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურების, საქალაქო და რაიონული პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკების, ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული ბაზების მთელი საქმიანობა დაექვემდებარა ჩვენი ქვეყნის უდიდესი მოვლენის—ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მზადებას. აღნიშნული დაწესებულებები ამ თარიღისათვის მზადების პერიოდში გადაიქცა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებზე მოსწავლეთა აღზრდის კერებად.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა ტექნიკის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთათვის ჩაატარა რესპუბლიკური მნიშვნელობის მასობრივი ღონისძიებები, როგორიცაა: კონკურსი „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს", „ნორჩ ტექნიკოსთა დაუსწრებელი კლუბი", „ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსი", აგრეთვე შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში. მათ შეძლეს რესპუბლიკური გამოფენისათვის დაემზადებინათ 2500-მდე თვითნაკეთი ხელსაწყო, რომელთა შორის მრავალი გაიგზავნა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. თვით ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ყოველწლიური მონაწილეა.

ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა დათვალიერების პერიოდში სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიუძღვნა პიონერ-მოსწავლეთა „საოქტომბრო ლაშქრობა". ამ ლაშქრობაში ჩაბმული იყო 23.000-მდე პიონერ-მოსწავლე. სადგურმა დაამუშავა სქემატური რუკები მარშრუტით—„ქართული დივიზიების ბრძოლების კვალდაკვალ"—დაღესტნიდან სევასტოპოლამდე. რესპუბლიკის ნაკრებმა 200-მდე პიონერ-მოსწავლემ გაიარა აღნიშნული მარშრუტით, რომლებმაც შეკრიბეს საინტერესო მასალები ქართული დივიზიების ბრძოლების შესახებ. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების პიონერთა და მოსწავლეთა სახლებმა და ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ დათვალიერების პერიოდში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გახსნეს ვ. ი. ლენინის ოთახები.

მახარაძის, თელავის, ცხაკაიას, დუშეთისა და სხვა პიონერთა და მოსწავლეთა სახლებმა გაამდიდრეს ვ. ი. ლენინის ოთახები ბელადის ცხოვრების ამსახველი მასალებით, ხოლო ქობულეთის

პიონერთა და მოსწავლეთა სახლში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მათ შეძლეს ფართოდ დაენერგათ მოწინავე სკოლის პიონერული ორგანიზაციებისა და პიონერული აქტივის მუშაობის გამოცდილება. განაზოგადეს ჩაქვის ქართული, ქობულეთის 1-ლი საშუალო და მე-4 რვაწლიანი სკოლების პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება.

მიუხედავად დათვალიერების პერიოდში ჩატარებული მუშაობისა, სკოლისგარეშე დაწესებულებათა საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სკოლისგარეშე დაწესებულებათა დიდ ნაწილს არა აქვს შესაფერისი მატერიალური ბაზა. ქარელისა და გურჯაანის რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლები ერთ 8—12 კვადრატულ მეტრიან ოთახებშია მოთავსებული. მუშაობის მინიმალური პირობები არ გააჩნიათ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის, ასპინძის, აბაშის, გურჯაანის, ლენტეხის, ხაშურის, წყალტუბოს, ცაგერის, სიღნაღის, ხულოს, ახალციხის, ადიგენის და სხვა პიონერთა და მოსწავლეთა სახლებს.

ქ. თბილისის 1-ლი მაისისა და ბათუმის რაიონებში სრულებით არ არის პიონერთა და მოსწავლეთა სახლები. ყველა სკოლისგარეშე დაწესებულება არ არის დაკომპლექტებული შესაფერისი კადრებით. დათვალიერების პერიოდში განათლების სამინისტროსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მითითებით შეუფერებელი მუშაკები განთავისუფლებული იქნენ საგარეჯოს, სამტრედიის, დუშეთის, ზუგდიდისა და სხვა რაიონებში.

ბევრი სკოლისგარეშე დაწესებულება ვერ უწევს საჭირო დახმარებას სკოლებს პიონერხელმძღვანელებისა და პიონერული აქტივის დახელოვნების საქმეში და ისინი არ წარმოადგენენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მეთოდურ ცენტრს ქალაქებსა და რაიონებში.

დღემდე არ არის მოწესრიგებული სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მომარაგება სასწავლო ხელსაწყოებითა და მასალებით.

აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ვანის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ლენტეხის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თერჯოლის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხობის, წალენჯიხის, წითელიწყაროს, წყალტუბოსა და ჩხოროწყუს პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში დაფინანსებულია მხოლოდ 6—10 წრე.

რიგი საქალაქო, სარაიონო განათლების განყოფილებები და კომკავშირის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტები არ სწავლობენ სკოლისგარეშე დაწესებულებების საქმიანობას, არ ისმენენ მათი მუშაობის ანგარიშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების უმაღლესი სკოლისა და სამეურნეო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპ. კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) პერიოდულად შეისწავლონ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მუშაობა, საკითხი განიხილონ სახალხო განათლების საბჭოსა და ალკკ რაიკომების ბიუროების სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მუშაობა. გადააქციონ ისინი რაიონში, ქალაქში პიონერული, კლასგარეშე, სკოლისგარეშე მუშაობის ცენტრებად და უზრუნველყონ რესპუბლიკურ ღონისძიებებში (კონკურსი „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“, „ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსი“, „მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია“, „ნორჩ მხატვრთა კონკურსი“, „ნორჩ მხარეთმცოდნეთა კონკურსი“) ჩაბმა ისე, რომ სასწავლო წლის ბოლოს თითოეულ ფინანსურ წრეს, წინასწარ დადგენილი გეგმის საფუძველზე, შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ ღონისძიებებში;

გ) შექმნან საზოგადოებრივ საწყისებზე პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან რაიონული მნიშვნელობის მომღერალთა გუნდები, ქორეოგრაფიული ჯგუფები, ხალხურ საკრავთა ანსამბლები, შეუქმნან ნორმალური პირობები პიონერთა და მოსწავლეთა სახლებთან არსებულ სახვითი ხელოვნების ყველა წრეს და ამით უზრუნველყონ ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების პერიოდში გაშლილ სოციალისტურ

შეჯიბრებაში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებული" სამკერდე ნიშნით:

1. თამაზაშვილი ქუქუნა ასლანის ასული — ქობულეთის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

2. ჩაკვეტაძე ნინო ნესტორის ასული — ცაგერის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

3. ზარიძე ვალიდა შალვას ასული — დუშეთის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

4. რუხაძე ნათელა სერგოს ასული — ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

5. ჩიქოვანი ზურაბ ვარლამის ძე — ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო პარკის დირექტორი

6. ბეჟანიშვილი ნელი მანაცაკანის ასული — ყვარლის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

7. ვახტანგაძე ნოდარ შალვას ძე — ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი

8. მხარეულიშვილი ალექსანდრე ბაჩოს ძე — კასპის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

9. ბაგაევი გაბრიელ კულმიჩის ძე — სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის დირექტორი

10. კუხიანიძე ზურაბ ბესარიონის ძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი

11. ლექვინაძე სიმონ ლუკას ძე — ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი

12. მრევლიშვილი რუსუდან პეტრეს ასული — მცხეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

13. შიომღვდლიშვილი ვალენტინა ბიძინას ასული — ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

14. ვარდიაშვილი ციალა ლევანის ასული — თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

15. თევზაძე დარეჯან — სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

16. ლაშხი ცეზარი სერგოს ძე — საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

17. სახვაძე ნინო შალვას ასული — ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

18. ჩარგეიშვილი როინ ირაკლის ძე—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოტექნიკური ლაბორატორიის გამგე

19. გამგონიძე გიორგი გიორგის ძე—ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით:

1. კვარაცხელია ჯუანშერ ალექსანდრეს ძე—ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი

2. ეპიტაშვილი გიორგი გიორგის ძე—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

3. ერისთავი მზია ალექსანდრეს ასული—ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო ტურისტული სადგურის დირექტორი

4. დარჩია ნუნუ—აჭარის ასსრ პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

5. გობეჩია ვლადიმერ—აფხაზეთის ასსრ პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

6. კუხიანიძე ზურაბ ბესარიონის ძე—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი

7. თედეევა მარინე იოსების ასული—სამხრეთ ოსეთის ა/ო ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დირექტორი

8. ოდიშარია ზეინაბ—ქ. თბილისის კიროვის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

9. კუნჭულია გურამ—მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

10. მატახერია აზა ბესარიონის ასული—ცხაკაიას პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

11. გიგინეიშვილი ვენერა ალექსანდრეს ასული—ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

12. დუდაური გიული იაკობის ასული—დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

13. გარუჩავა ლიდა კირილეს ასული—ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

14. არტამანოვი სერგო ივანეს ძე—სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის მეთოდისტი

15. შენგელია ალექსანდრე სოლომონის ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორის მოადგილე

16. ჩაკვეტაძე არკადი ილარიონის ძე—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის კაბინეტის გამგე

17. ჩირაძე დავით გიორგის ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მოჭადრაკეთა წრის ხელმძღვანელი

18. ბერიკაშვილი ცირა ციკოს ასული—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

19. ამირანაშვილი ლილი რაჟდენის ასული—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პიონერული განყოფილების გამგე

20. ხახიშვილი ვენერა პლატონის ასული—საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

21. აბაშიძე ნუნუ ივანეს ასული—ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

22. ტაბატაძე მარიამ ალმასხანის ასული — ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ოქტომბრელთა სიმღერისა და ცეკვის წრის ხელმძღვანელი

23. თათარაშვილი ლამარა გიორგის ასული—მცხეთის პიონერთა და მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

24. მანჯავიძე მაყვალა გიორგის ასული—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მასობრივი მუშაობის კაბინეტის გამგე

25. გასიევი თეიმურაზ ვლადიმერის ძე—სამხრეთ ოსეთის ა/ო ნორჩ ტურისტთა ბაზის დირექტორი.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით:**

1. ტატიშვილი ვაჟა ნიკოლოზის ძე— დუშეთის რაიონის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელი

2. ლითანიშვილი ჟუჟუნა ბორისის ასული—დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სახვითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელი

3. ებრალიძე გიორგი სეფეს ძე—ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დრამატული წრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ჩხაიძე აკაკი ანდრიას ძე—ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სახვითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელი

5. გორბენოვი ვლადიმერ ივანეს ძე—ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

6. ზერნოვი ვალენტინ გიორგის ძე—ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის რადიოწრის ხელმძღვანელი

7. ანთელავა მარგარიტა მიხეილის ასული—ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ელექტრო-ფიზიკის წრის ხელმძღვანელი

8. გურგენიძე გიორგი დომენტის ძე—ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ნორჩ მეზღვაურთა წრის ხელმძღვანელი

9. თოფურია აბესალომ სარდიონის ძე—ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

10. ქურციკიძე ლერი შალვას ძე—ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სახვითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელი

11. პანამარიოვ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე—ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სასულე ორკესტრის ხელმძღვანელი

12. ბოჭორიშვილი გურამ ევგენის ძე—ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ მოჭადრაკეთა წრის ხელმძღვანელი

13. მორევა ელენე ალექსანდრეს ასული—ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საბალეტო ჯგუფის ხელმძღვანელი

14. შალიკიანი ქსენია ლევანის ასული—ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აქტივის წრის ხელმძღვანელი

15. ჩიჩუა ჰამლეტი დიმიტრის ძე—კასპის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ქორეოგრაფიის წრის ხელმძღვანელი

16. გუგულაშვილი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე—კასპის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ფოტომოყვარულთა წრის ხელმძღვანელი

17. გაზაევი სტეფანე ივანეს ძე—სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წრის ხელმძღვანელი

18. პაჯიმიან რუბენ სტეფანეს ძე—ახალციხის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

19. სიხარულიძე გურამ ვალერიანის ძე—ჩოხატაურის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სახვითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელი

20. სიხარულიძე ზურაბ—ქარელის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

21. ჯიბუტი ზურაბ ალექსანდრეს ძე—ჩოხატაურის პიონერთა და მოსწავლეთა პიონერული ანსამბლის ქორეოგრაფი

22. სიხარულიძე ვალერიან ივანეს ძე—ჩოხატაურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ მოჭადრაკეთა წრის ხელმძღვანელი

23. ფარულავა კონსტანტინე ტრიფონის ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელი

24. ტაბიძე რევაზ აკაკის ძე—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავტოსამოდელო წრის ხელმძღვანელი

25. ბაშალეიშვილი ვაჟა შალვას ძე—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის რადიოტექნიკის წრის ხელმძღვანელი

26. არენშილდი არტურ ალექსანდრეს ძე—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გემთსამოდელო წრის ხელმძღვანელი

27. ტოგონიძე ალექსანდრე სამსონის ძე—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ფერწერის წრის ხელმძღვანელი

28. თარხნიშვილი ალექსანდრე მოსეს ძე—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პიონერული თეატრის ხელმძღვანელი

29. დავიდოვა ეთერი სიმონის ასული—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერული აქტივის ხელმძღვანელი

30. ბაკურაული ფრიდონ ზაქარიას ძე—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სახვითი ხელოვნების წრის ხელმძღვანელი

31. ჩოხელიშვილი ნინო ვასილის ასული—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ჭრა-კერვისა და ქარგვის წრის ხელმძღვანელი

32. საფაროვი გრიგოლ არშაკის ძე—თელავის პიონერთა და და მოსწავლეთა სახლის ტექნიკური წრეების ხელმძღვანელი

33. ეგოროვი ლოვა სურენის ძე—თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ფოტოწრის ხელმძღვანელი

34. ჯიშკარიანი გენო ლუკას ძე—ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ნორჩ ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

35. გელბახიანი ნოდარ მიხეილის ძე—საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

36. ლაშხი ლალი სერგოს ასული—საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელი

37. მახარაძე შოთა გერასიმეს ძე—საჩხერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სიმღერის წრის ხელმძღვანელი

38. კიკნაძე გიორგი ნიკოლოზის ძე—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი

39. საყვარელიძე ვ. ვ.—ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

40. ქსოვრელი ი. ა.—ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი

41. ზაუტაშვილი ო. ს.—ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხატვრული წრის ხელმძღვანელი

42. ზაუტაშვილი ისაკი ივანეს ძე—ფიზიკა-ტექნიკის ლაბორატორიის გამგე

43. ტურაბელიძე ელენე ერმილეს ასული—ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ბიბლიოთეკის გამგე

**დ) წარდგენილი იქნეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად:**

1. შრომის წითელი დროშის ორდენოსან ბ. ძნელაძის სახელობის რესპუბლიკური პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური
3. ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური
4. ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
5. ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
6. ქ. რუსთავის მეტალურგიული კომბინატის კულტურის სახლის საბავშვო სექტორი

2. დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დათვალიერების პერიოდში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული შემდეგი სკოლისგარეშე დაწესებულებები:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ პიონერთა და მოსწავლეთა სახლები, დუშეთის, მახარაძის, ქობულეთის, ფოთის, ტყიბულის, თელავის, სამტრედიის, საჩხერის, ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლები; სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები და ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი.

დაევალოს საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, სარაიონო კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს განიხილონ ადგილებზე სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების დათვალიერების შედეგები და დასახონ საჭირო ღონისძიებანი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
**რ. მეტრეველი**

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური
კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 11 ОТ 8 ЯНВАРЯ 1968 ГОДА

### О результатах проверки учебно-воспитательной работы в Коджорской средней школе-интернате

Ознакомившись с результатами обследования учебно-воспитательной работы в Коджорской средней школе-интернате, отмечаю, что дирекция Коджорской школы-интерната до некоторой степени улучшила учебно-воспитательную работу и осуществила ряд мероприятий для повышения академической успеваемости учащихся.

Преподаватели русского языка и литературы И. Азикова, Л. Корсун систематически готовятся к урокам, строят их методически правильно, уделяют внимание развитию письменной и устной речи учащихся, выполняют нормы письменных работ.

Преподаватели математики Г. Манткава, А. Смирнов и С. Егиазаров добиваются прочных знаний учащихся, соблюдают нормы и виды контрольных работ.

Достигнуты успехи в деле физического воспитания учащихся (преподаватель Р. Егизаров).

Должное внимание уделяется в школе-интернате трудовому воспитанию. На уроках труда учащиеся овладевают как теоретическими знаниями, так и практическими навыками. Развернута комсомольско-пионерская работа среди воспитанников.

Определенные успехи достигнуты школой-интернатом в деле улучшения материальной базы.

Несмотря на это, в работе Коджорской школы-интерната имеются серьезные недостатки: успеваемость за I четверть текущего учебного года низка (86%) и учащимися пропушено много уроков (за одну четверть 2339).

В школе-интернате не уделяется должное внимание проведению тематических утренников-вечеров, литературным и музыкальным викторинам, также не уделяется должное внимание внедрению в учащихся культурных навыков поведения.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Недостаточное внимание уделяется взаимному посещению уроков и самоподготовке учащихся воспитателями и преподавателями, а также обмену опытом; не устроена выставка методической работы; четвертные планы работ воспитателей и классных руководителей составлены поверхностно.

Неудовлетворительно ведется школьная документация, личные дела учащихся первого класса не составлены, в личные дела учащихся не вносятся педагогические характеристики, журналы академической успеваемости за I четверть текущего учебного года не заполнены.

Здания и сооружения школы-интерната из-за отсутствия должного ухода находятся в запущенном состоянии: повреждены полы, штукатурка, внутренняя канализация и др.

Наружная канализация школы-интерната, по причине повреждения коллектора не работает, и нечистоты изливаются не территорию интерната.

Туалеты в учебном корпусе систематически не промываются, грязно, нет урн для бумаг.

Спальный корпус школы-интерната очень перегружен, в нем нет стульев, не у всех воспитанников имеются предметы личной гигиены: гребешок, зубная щетка, зубной порошок; некоторые унитазы поломаны, в умывальнях повреждены краны, не проведена горячая вода, недостаточно оборудована комната гигиены.

В классных комнатах не хватает электрических лампочек, нет форточек и фрамуг для проветривания; не обращается должное внимание на чистоту в школьном корпусе и спортивном зале.

При мытье посуды не применяются химические средства, посуда не моется горячей водой, нет полок для сушки посуды.

У воспитателей школы-интерната нет санитарных книжек, врач школы-интерната не проводит подсчет калорийности ежедневных рационов пищи.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С целью упорядочения учебно-воспитательной работы и налаживания хозяйственного дела в Коджорской средней школе-интернате

Приказываю

1. Директору Коджорской средней школы-интерната Сулава Г. Г:

а) осуществить действенные мероприятия по улучшению учебно-воспитательной работы и повышению академической успеваемости учащихся;

б) практиковать взаимное посещение уроков и воспитательских мероприятий преподавателями и воспитателями;

в) поставить на должную высоту культурно-массовую работу среди воспитанников и обеспечить радиофикацию школы-интерната;

г) немедленно навести должный порядок в части санитарно-бытовых условий в школе-интернате.

2. Директору Коджорской средней школы-интерната Сулава Г. Г. за допущение серьезных недостатков и нарушений объявить выговор.

3. Заместителю директора по учебно-воспитательной части Манткава Г. А. за слабое руководство и контроль в деле учебно-воспитательной работы объявить выговор.

4. Помошнику директора по хозяйственной части Закутову Р. Р., за необеспечение материально-бытовых условий и слабое руководство по наведению порядка в школе-интернате объявить выговор.

5. Принять к сведению, что врач Пейкришвили П. Я. освобожден от занимаемой должности.

6. Зав. отделом просвещения Гардабанского района (А. Эртелишвили) предусмотреть в 1968 году необходимые средства для капитального ремонта помещений, благоустройства территории и перекладки наружной канализации школы-интерната, подготовив соответствующую техническую документацию для проведения этих работ.

7. Управлению школ-интернатов и детских домов Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Чинчаладзе В. И.) установить контроль за выполнением данного приказа.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 5-го января 1968 года

Зам. Министра просвещения
Грузинской ССР **И. Берозашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ ПО МИНИСТЕРСУВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 11 ОТ 8 ЯНВАРЯ 1968 ГОДА

### О результатах проверки работы в Калдахварской школе-интернате Гудаутского района Абхазской АССР

Ознакомившись с материалами обследования работы Калдахварской школы-интерната Гудаутского района Абхазской АССР, отмечаю, что в учебно-воспитательной и хозяйственной работе, культурно-бытовом и медицинском обслуживании воспитанников в Калдахварской школе-интернате все еще имеют место серьезные недостатки и нарушения, а именно:

плохо работают система отопления, водопровод и канализация; не налажено освещение; баня в неисправном состоянии, детей купают в душевых столовой и хозкорпуса; территория двора и дворовые канавы загрязнены мусором; во дворе отсутствуют питьевые фонтанчики; дворовые уборные не канализированы и не дезинфицируются, дорожки к ним не имеют твердого покрова; отсутствует комната гигиены, а также комнаты для игр и развлечений детей.

В пищеблоке не соблюдаются санитарно-гигиенические условия.

Продовольственный склад совершенно не отвечает своим требованиям, продукты в нем хранятся с нарушением санитарных правил.

Меню однообразное, витаминизация не производится, калораж не вычисляется.

Кабинет врача не оборудован. В нем отсутствуют необходимые приборы. На амбулаторных больных не заполняются формы №№ 25, 26.

В школе-интернате также отсутствуют предметные кабинеты. Приборы, реактивы и наглядные пособия находятся без надлежа-

щего ухода в маленькой комнате, где проводить опыты и лабораторные занятия невозможно. Плохо оборудованы и в антисанитарном состоянии находятся мастерские школы-интерната.

Некачественны планы учебно-воспитательной работы, они не вытекают из действительных потребностей школы-интерната, составлены наспех и не соответствуют инструкциям. Неудовлетворительно ведется школьная документация (классные журналы, журналы академической успеваемости учащихся и т. д.).

Имеются дефекты в оформлении протоколов заседаний педагогического совета.

Приказы по школе-интернату оформляются безответственно.

Редко ведется посещение уроков и воспитательских мероприятий директором, заместителем директора по учебно-воспитательной работе и старшим воспитателем; некачественны анализы и указания. Директор до 23 ноября 1967 года посетил всего 7 уроков, а заместитель за тот же период посетил 14 уроков, причем, в некоторых записях заместителя директора не видно какого числа присутствовал он на уроке и какая была тема урока. Старший воспитатель вообще самоустранился от всякой проверки воспитательских мероприятий.

В результате слабого руководства учебно-воспитательной работой имеет место низкая успеваемость учащихся (86%) и большое количество пропущенных уроков—за одну четверть учебного года—3.538 уроков.

Отмечаю также, что Гудаутский районный отдел просвещения за время существования Калдахварской школы-интерната ни разу не проверял учебно-воспитательную работу, а Министерство просвещения Абхазской АССР не уделяло должного внимания постановке учебно-воспитательной и хозяйственно-бытовой работе школы-интерната, не принимало должных мер для наведения порядка в ней.

Приказываю

1. Директора Калдахварской школы-интерната Чичба А. Ч., как не справляющегося с работой, освободить от занимаемой должности.

2. Заведующему Гудаутским районным отделом просвещения Таркиль И. Х. указать, поручив ему систематически осуществлять действенную помощь школе-интернату.

3. Обратить внимание Министра просвещения Абхазской АССР Джонуа А. Н. на слабую помощь и контроль за работой Калдахварской школы-интерната и обязать его проверить работу заместителя директора по учебно-воспитательной работе Ампар А. К., помощника директора по хозяйственной части Дзидзария Н. Г., врача Ростава Л. О. и медсестры Эшба З. Д. и решить вопрос о дальнейшем оставлении их в школе-интернате.

О результатах сообщить Министерству просвещения Грузинской ССР до 15 июня 1968 года.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 5 января 1968 года.

Министр
просвещения Грузинской ССР Т. Лашкарашвили

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 10 იანვრის ბრძანება № 15

## ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების საშუალო სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საგრძნობლად ამაღლდა უცხო ენების სწავლების დონე ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების საშუალო სკოლებში. სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით შეივსო უცხო ენის კაბინეტები. ასეთი სკოლების რიცხვს ეკუთვნიან: ქ. თბილისის 44-ე, 47-ე, 55-ე, ქ. სოხუმის მე-17, ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლები.

ამ სკოლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი მაღალკვალიფიციურია. ისინი კარგად ფლობენ როგორც სასაუბრო ენას, ასევე სწავლების მეთოდებს, გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს, გაკვეთილებს ატარებენ უცხო ენაზე. ამ სკოლების მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი მაღალ მომზადებას ამჟღავნებს. მათ ესმით მასწავლებლის საუბარი და თვითონაც საკმაოდ გამართულად საუბრობენ პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის ფარგლებში, აქვთ სწორი კითხვისა და წერის ჩვევები. ასეთი მასწავლებლებია: ინგლისური ენის—ნ. ედილაშვილი, ც. ჯანუყაშვილი (მე-5 სკოლა), დ. ჩუგოშვილი, ჯ. მჭედლიშვილი (მე-6 სკოლა), ი. შურღაია, ი. ბაბაევა (მე-11 სკოლა), თ. თოფურია, ჯ. თაბაგარი (24-ე სკოლა), ა. ტანიმანიდი, თ. ზალკალიანი (44-ე სკოლა), ლ. შაგინიანი, ლ. არჩვაძე, ნ. მერაბოვა, ბ. მიქელაძე (47-ე სკოლა), ზ. ჯაფარიძე, ო. ზავგოროდნაია, ლ. ბერიძე, თ. უზნაძე (55-ე სკოლა), შ. შვარცი, ო. ჰოკსი, ს. პაპაშვილი, ი. ვერბა (116-ე სკოლა), ც. თოლორაია, ე. კაჭარავა, ლ. რუსია (ქ. სოხუმის 1-ლი სკოლა), ბ. ლამ, გ. ისკანდერი (ქ. სოხუმის მე-10 სკოლა), ნ. ურმუზოვა,

ს. ქირია, თ. კოლონია (ქ. სოხუმის მე-17 სკოლა), ც. ეფენია, თ. პეტრიდისი (ქ. ზუგდიდის 1-ლი სკოლა), რ. ჩომახიძე (ქ. თე-ლავის 1-ლი სკოლა), ს. შერვაშიძე, ი. ჩაიკა (რუსთავის მე-2 სკოლა); ფრანგული ენის—ლ. ნონიკაშვილი, ს. ფელზერი, ჟ. კობახიძე, ნ. კობახიძე (23-ე სკოლა); გერმანული ენის—ვ. თვალაბეიშვილი, ლ. ვაწაძე, მ. ჩხარტიშვილი (ქ. თბილისის მე-4 სკოლა), მ. სირაძე (ქ. თბილისის 58-ე სკოლა), მ. ბაღათურია (რუსთავის მე-17 სკოლა).

მიმდინარე სასწავლო წელს ინგლისური და ფრანგული ენების სწავლების სკოლებში შემოღებული იქნა შესაბამისი ქვეყნების ლიტერატურის კურსის სწავლება, რაც კარგ შედეგებს იძლევა.

ტრადიციად იქცა სასწავლო წლის დასასრულს საანგარიშო თემატური დილა-საღამოების მოწყობა უცხო ენებზე. ამ მხრივ უკეთეს შედეგებს იძლევა ქ. თბილისის მე-4, 23-ე, 24-ე, 47-ე, 55-ე, 57-ე, 116-ე, ქ. თელავის 1-ლი საშუალო სკოლები.

მიუხედავად ზემოაღნიშნული წარმატებებისა, ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების საშუალო სკოლებში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთი სკოლის დირექტორმა დღემდე ვერ შესძლო უცხო ენის კაბინეტების საჭირო მასალებითა და საშუალებებით აღჭურვა, არა აქვთ კინოდანადგარები, დიაფილმები, ფილმოსკოპები და სხვა. ასეთი სკოლებია: ქ. თბილისის მე-4, მე-6, მე-11, 23-ე, 24-ე, 126-ე, ქ. რუსთავის მე-2, ქ. თელავის 1-ლი საშუალო სკოლები.

რესპუბლიკაში არსებული ამ ტიპის 35 სკოლიდან 27 სკოლაში ჯერ კიდევ არ არის დანიშნული დირექტორების მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში, რომლებსაც სპეციალური განათლება აქვთ. ამის გამო სკოლების ისეთი მასწავლებლებიც კი, რომლებიც კარგად ფლობენ უცხო ენას, მოკლებული არიან კვალიფიციურ მეთოდურ ხელმძღვანელობას და სწავლება ამ სკოლებში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. შინასასკოლო კონტროლის სისუსტეს მიეწერება ისიც, რომ ამ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა წერის კულტურას, სისტემატურად არ სწორდება აგრეთვე საშინაო-საკლასო რვეულები და სიტყვარები. ხშირ შემთხვევაში ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები არ ასრულებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1961 წლის 3 ოქტომბერს დამტკი

ცებულ დებულებას „ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების შესახებ“. ამ სკოლებში ისევ ასწავლიან და კვლავ ინიშნებიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც სუსტად ფლობენ უცხო ენას. ამიტომ ისინი მხოლოდ კითხვისა და თარგმანის მეთოდით იფარგლებიან და გაკვეთილზე ძირითადად მშობლიურ ენაზე მეტყველებენ. მათი მოსწავლეები ჩამორჩებიან სხვა სკოლების შესაბამისი კლასების მოსწავლეთა მომზადებას. ასეთი მასწავლებლებია: ინგლისურ ენაში გ. ბენდელიანი (ქ. სოხუმის 1-ლი სკოლა), ვ. შენგელია (ქ. რუსთავის მე-2 სკოლა), გერმანულ ენაში—გ. ფარჩუკაშვილი, ს. მეტრეველი (ქ. თბილისის მე-4 სკოლა), რ. ეფრემაშვილი, ი. ისაკაძე (58-ე სკოლა).

ამ ტიპის სკოლების ყველა პარალელურ კლასში შემოღებულია უცხო ენის სწავლება და გაყოფილ ჯგუფებს არ ყოფნით საკლასო ოთახები, რითაც მასწავლებლებს მძიმე სამუშაო პირობები ექმნებათ.

პრაქტიკით დასტურდება, რომ ყველა მოსწავლე ვერ ძლევს უცხო ენის სწავლებას და სხვა საგნებშიც ჩამორჩება. სკოლაში კი არ არის ისეთი პარალელური კლასები, სადაც შეიძლებოდეს ასეთი მოსწავლეების გადაყვანა.

თითქმის არც ერთ სკოლაში არ არის დანიშნული უცხო ენის მცოდნე ბიბლიოთეკარი და სასკოლო ბიბლიოთეკაში ძალზე მცირე რაოდენობით მოიპოვება კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა უცხო ენებზე და ლექსიკონები (ქ. თბილისის მე-4, მე-5, მე-6, მე-11, 23-ე, 57-ე, ქ. რუსთავის მე-2, ზუგდიდის 1-ლი, სოხუმის 1-ლი სკოლები).

გერმანული და ფრანგული ენის სწავლების სკოლებში მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით. არ გამოდის ადაპტირებული კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. უცხო ენის მასწავლებლებმა:

ა) ყოველდღიურად იზრუნონ პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისა და იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის; დაესწრონ მოწინავე მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით; ერთიდაიგივე კლასში შემავალი ჯგუფების მასწავლებლებმა თემატური გეგმის მიხედვით იმუშაონ ერთსა დი იგივე მასალაზე; ფართოდ გამოიყენონ თვალსაჩინოება

და ტექნიკური საშუალებები სწავლების პროცესში; სისტემატურად და გულდასმით გაასწორონ საკლასო-საშინაო, სიტყვებისა და საკონტროლო წერითი სამუშაოების რვეულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) უმოკლეს ხანში შეავსონ უცხო ენის კაბინეტები საჭირო თვალსაჩინო მასალებით და ტექნიკური საშუალებებით, იზრუნონ სასკოლო ბიბლიოთეკარად და პიონერხელმძღვანელად უცხო ენის სპეციალისტების დანიშვნაზე.

3. ქ. ქ. თბილისის (ამხ. თ. ეკაძე), სოხუმის (ამხ. ლ. უჩანეიშვილი), რუსთავის (ამხ. ს. როსნაძე) და თელავის (ამხ. ა. ნადაშვილი) რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეისწავლონ ამ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ სკოლებში შეიქმნას ნორმალური პირობები მუშაობისათვის, ძირითადად საჯარო მეცადინეო ოთახების რაოდენობის გაზრდით;

ბ) არ დაუშვან ამ სკოლებში მასწავლებელთა დანიშვნა განათლების სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე;

გ) იზრუნონ, რათა მომავალ 1968—69 სასწავლო წლიდან ყველა ამ ტიპის სკოლაში სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილედ ინიშნებოდნენ უცხო ენის სპეციალისტები;

დ) მასწავლებლები რ. ეფრემაშვილი, ი. ისაკაძე (58-ე სკოლა) ვ. შენგელია (ქ. რუსთავის მე-2 სკოლა), როგორც ამ სკოლებისათვის შეუფერებელნი, მომავალი სასწავლო წლიდან გადაყვანილ იქნან ჩვეულებრივი ტიპის სკოლებში.

4. ეთხოვოს უცხო ენათა ინსტიტუტს (ამხ. ვ. ქოჩორაძე) მოაწყოს ამ სკოლების მასწავლებელთათვის დახელოვნების კურსები შესაბამის საგნებში.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) მომავალი წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს ფრანგული და გერმანული ენების სახელმძღვანელოებისა და კლასგარეშე საკითხავი ადაპტირებული ლიტერატურის გამოცემა.

6. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბიბკოლექტორის წინაშე აღნიშნული სკოლები მოამარაგოს კლასგარეშე საკითხავი ადაპტირებული ლიტერატურით, განაწილების მიხედვით.

7. ეთხოვოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს, რათა საბავშვო გადაცე-

მეზში მეტი ადგილი დაუთმოს ამ ტიპის სკოლების მოსწავლეთა შემოქმედების ჩვენებას.

8. ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების სკოლებში კლასთა რაოდენობა (II კლასიდან) სასწავლო წლის დაწყებამდე განსაზღვრონ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა და თავიანთი წინადადება ამის შესახებ დააყენონ განათლების სამინისტროს წინაშე.

9. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 11 იანვრის ბრძანება № 16

### გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ გურჯაანის რაიონის შემოწმებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე მ. თოდაშვილი):

ა) 20 იანვრამდე შეისწავლოს რაიონის სკოლებში ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის მდგომარეობა და ის სკოლები, სადაც ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლამ გამოიწვია სასწავლო კაბინეტების გაუქმება, დაუყოვნებლივ იქნან გადაყვანილი მეორე ცვლაში იმ მიზნით, რომ აღდგენილი იქნას სასწავლო კაბინეტები;

ბ) სკოლის დირექტორებთან ერთად ქმედითი ზომები მიიღოს სასწავლო კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოების სრულყოფილად მოსაწყობად, სისტემატურად შეავსოს ისინი ინვენტარით, ხელსაწყო-იარაღებით, რეაქტივებით, ჭურჭლით, აპარატურით, კაბინეტში გაიკრას მხოლოდ ისეთი აუცილებელი საჭირო სქემები და ტაბულები, რომლებიც გამოირჩევა სიზუსტითა და შესრულებულია ლამაზად. კაბინეტები უზრუნველყოფილი იქნას საჭირო ინვენტარით, ამწოვი კარადით, შესაფერისი დაფებით, წყლისა და ელექტროგაყვანილობით. სკოლებმა გამოყონ მოსწავლე-ლაბორანტები და მისცენ მათ პრაქტიკული ჩვევები;

გ) შექმნას ავტორიტეტული კომისიები და 30 იანვრამდე ზუსტად აღრიცხოს საკომლო ჩანაწერების მიხედვით სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და უზრუნველყოს სკოლასჩამოცილებული

სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმა. გადაჭრით გააძლიეროს სკოლის დირექტორების პირადი პასუხისმგებლობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის გატარებისადმი. სისტემატურად განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე სკოლის დირექტორების ანგარიში აღნიშნული კანონის შესრულების თაობაზე ჩატარებული მუშაობის შესახებ და მკაცრი ზომები მიიღოს მათ მიმართ ვინც ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებენ ამ კანონის შესრულებისათვის;

დ) სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათში აღნიშნული ნაკლოვანებები გახადოს მასწავლებელთა იანვრის თათბირების მსჯელობის საგნად დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მათს გამოსასწორებლად.

2. სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველჰყოს განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით—„გასული სასწავლო წლის შედეგებისა და 1967—1968 სასწავლო წლის ძირითადი ამოცანების შესახებ“ გათვალისწინებული საკითხების ზუსტად შესრულება და სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება. მიაღწიოს იმას. რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებული მასალის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა. აღმოფხვრას სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში არსებული ლიბერალიზმი, რისთვისაც სკოლებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 თებერვლის დადგენილებით—„ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოწმებისა და შეფასების შესახებ“.

3. სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორი ი. ბიკაშვილი და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში მ. იმერლიშვილი, რომლებიც შეგუებული არიან სკოლაში არსებულ ნაკლოვანებებს და ვერ უზრუნველყვეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე ხელმძღვანელობა, განთავისუფლებული იქნან დაკავებული თანამდებობიდან და დატოვებული იქნან მასწავლებლებად.

4. არა სათანადო ცენზისა და შეუფერებლობის გამო, სათანადო წესის დაცვით, განთავისუფლებულ იქნან მახარაძის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ც. პაპაშვილი, მათემატიკის მასწავლებელი ლ. მსუქნიშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. შიოშვილი და ჩამოერთვას სოფ. ვეჯინის საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნ. გაბიტაშვილს გერმანული ენის საათები.

5. საგნის სწავლების ცუდად დაყენებისათვის სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლებს რ. ქათამაშვილს, ა. ჯორჯაძეს, ვაზისუბნის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლებს ვ. უთალიშვილს, კ. შანშიაშვილს, ქართული ლიტერატურის მასწავლებელ ზ. რუსიშვილს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური და გაფრთხილებულ იქნან თუ ისინი არსებითად არ გარდაქმნიან მუშაობას, განთავისუფლებული იქნებიან დაკავებული თანამდებობიდან.

6. ვაზისუბნის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ლოლაძეს, ვეჯინის საშუალო სკოლის დირექტორს შ. გაბიტაშვილს, მელაანის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ნათიძეს, მახარაძის საშუალო სკოლის დირექტორს ა. დოლიძეს მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრებისათვის მიეთითოთ.

7. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ქ. ბექუაშვილს, ე. ხელაშვილს (მელაანის საშუალო სკოლა), ა. გაბიტაშვილს, ა. იმერლიშვილს (სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლა), ნ. ბერიკაშვილს, ა. უტიაშვილს (ვეჯინის საშუალო სკოლა), ა. სოლომნიშვილს (ვაზისუბნის საშუალო სკოლა); ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ა. არაქელოვას, თ. ჩალაძეს (სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლა), ი. ბერიძეს, მ. ცისკარიშვილს (მელაანის საშუალო სკოლა), მ. ბიბილაშვილს (ვეჯინის საშუალო სკოლა), ვ. ქიტოშვილს (ველისციხის საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებლებს მ. ქიტუაშვილს, რ. სარქისოვას, ა. აკოლაშვილს, ნ. გელაშვილს (ველისციხის საშუალო სკოლა), ნ. ნაზიროვას, ნ. ირომაშვილს, ლ. წნორიშვილს (მელაანის საშუალო სკოლა), ე. ჟამურაშვილს, ზ. წვერიკმაზიშვილს (ვაზისუბნის საშუალო სკოლა), მ. ბიწკინაშვილს (სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლა), მ. ხარიტონაშვილს (მახარაძის საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებლებს ე. ნარეკლიშვილს. ლ. იაკობაშვილს (სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლა), ვ. ორველაშვილს, ზ. ზავარაშვილს, თ. გიგოლაშვილს (ვეჯინის საშუალო სკოლა), შ. ნათიძეს (მელაანის საშუალო სკოლა), ე. ხუციშვილს (მახარაძის საშუალო სკოლა), ქიმიის მასწავლებელს მ. ბულიაშვილს (ვაზისუბნის საშუალო სკოლა) მიეთითოთ.

9. სასწავლო წლის მეოთხე მეოთხედში შეისწავლოს ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანე-

ლების და მასწავლებლების მუშაობა და იმათ მიმართ, ვისაც სა-
ფუძვლიანად არ ექნება გარდაქმნილი მუშაობა, დააყენოს საკითხი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. აღნიშნული ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განხილული იქნას რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი.

11. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი**: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 5 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

### გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1967 წლის 10 დეკემბრიდან—19 დეკემბრამდე ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორების შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ე. აგლაძის, თ. მელქაძის, მეთოდისტების გ. გიორგობიანის, ო. ვახტანგაძის, ტ. ფაჩუაშვილის, მ. ნამჩევაძის, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის ო. ნემსაძისა და 55-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის მ. დოჭვირის შემადგენლობით შეისწავლა გურჯაანის რაიონის (გამგე მ. თოდაშვილი) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

შემოწმებით დადგინდა, რომ რაიონში დიდი მუშაობაა გაწეული სკოლების ნივთიერი ბაზის განმტკიცებისათვის. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივითა და სახსრებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ველისციხის (840 მოსწავლე ადგილით), კალაურის, ვაზისუბნის, შაშიანის (თითოეული 640 მოსწავლე ადგილით) საშუალო სკოლების ტიპიური სასკოლო შენობები. დოკუმენტაცია მზადაა და სკოლების მშენებლობას დაიწყებენ ჩუმლაყის კალინინის სახელობისა (980 მოსწავლე ადგილით) და ჭანდრის (640 მოსწავლე ადგილით) კოლმეურნეობები. სახელმწიფო ბიუჯეტისა და კაპიტალური რემონტის თანხებიდან აშენდა ახაშენის (640 მოსწავლე ადგილით) საშუალო სკოლა, ხოლო ბაკურციხის საშუალო სკოლას მიშენდა 12 საკლასო ოთახი.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაა. კარდანახის საშუალო სკოლაში ზოგიერთი კლასი დერეფანსა და სამასწავლებლოში მეცადინეობს. აქ კაპიტალური რემონტის თანხებიდან გათვალისწინებულია 10 საკლასო ოთახის მიშენება, საჭიროა დოკუმენტაციის სასწრაფოდ შედგენა და ყველა სათანადო ზომის მიღება, რათა მიშენების სამუშაოები პირველ სექტემბრამდე დამთავრდეს. ასევე ვეჯინის საშუალო სკოლას უნდა მიუშენდეს 4 საკლასო ოთახი. ველისციხის საშუალო სკოლაში 1.300-მდე მოსწავლეა, დაწყებითი კლასები 500-ზე მეტი მოსწავლით მეცადინეობს ძველ სასკოლო შენობებში, რომლებიც ძირითადი სასკოლო კორპუსიდან დაშორებულია 1,5—2 კილომეტრით, დირექციას უჭირს მასზე ხელმძღვანელობის განხორციელება, საჭირო იქნება მომავალი სასწავლო წლიდან ველისციხეში რვაწლიანი სკოლის გახსნა იქ, სადაც ამჟამად დაწყებითი კლასები მეცადინეობენ.

განათლების განყოფილება რეგულარულად ამოწმებს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. მიმდინარე სასწავლო წელს შემოწმებულია სოფელ გურჯაანის, ვეჯინის, ჯიმითის, არაშენდის, მელაანის საშუალო, ყიტაანის, კოლაგის, ჩალაუბნის რვაწლიანი, დარჩიეთის, არაშენდის, კაჭრეთის დაწყებითი სკოლების მუშაობა. ბრძანებები შემოწმების შედეგების შესახებ ეგზავნება რაიონის ყველა სკოლას, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

სისტემატურად იწვევა განათლების საბჭოს სხდომები. სხდომებზე განხილულია აქტუალური საკითხები: საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი განათლების კანონის განხორციელების, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება, მოსწავლეთა წერითი კულტურის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, ფიზკულტურული აღზრდის, დახელოვნების კურსებზე მასწავლებელთა გაგზავნის, ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ განათლების განყოფილება იშვიათად ახდენს სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების შემოწმებას.

განათლების განყოფილების აპარატი და პედაგოგიური კაბინეტი დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით, მაგრამ ისინი სპეციალობების მიხედვით სწორად

არ არიან შერჩეული; განათლების განყოფილების ინსპექტორი და პედკაბინეტის მეთოდისტები ისტორიკოსები არიან, ასევე ქიმია-ბიოლოგიის სპეციალისტები არიან ინსპექტორი და პედაგოგიური კაბინეტის გამგე. მაშინ, როდესაც განათლების განყოფილებას და პედაგოგიურ კაბინეტს არა ჰყავს ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის სპეციალისტები. ამიტომ, განყოფილებას უძნელდება სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს რაიონის სკოლებში ამ საგნების სწავლებას. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინდა დასახელებული საგნების სწავლების შემოწმებისას. ასევე სპეციალობების მიხედვით სათანადოდ არ არიან შერჩეული სკოლების დირექტორები და მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში. მაგალითად, ველისციხის საშუალო სკოლის დირექტორი და მისი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში ისტორიკოსებია, ქ. გურჯაანის საშუალო სკოლაში კი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები. მახარაძის საშუალო სკოლის დირექტორი ლიტერატორია, სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილე ისტორიკოსი და ა. შ.

შემოწმებული სკოლების დაწყებითი კლასების ქართული ენის მასწავლებლები ე. ხანდამიშვილი (მელაანის საშუალო სკოლა), რ. მთავრიშვილი, ა. ბადრიაშვილი (სოფელ მახარაძის საშუალო სკოლა), ა. რევაზიშვილი (ვაზისუბნის საშუალო სკოლა) კარგად ახერხებენ დედა ენაში პროგრამით გათვალისწინებული მასალის მიწოდებას ბავშვებისათვის, ნერგავენ გამართული, გამომეტყველი კითხვის ჩვევებს, უმუშავებენ მწყობრი თხრობისა და მსჯელობის უნარს, ასწავლიან სუფთა, ლამაზ და აზრიან წერას, გაკვეთილის პროცესში გამუდმებით ზრუნავენ მოსწავლეთა ზეპირმეტყველების დახვეწისათვის, გარკვეულ დროს უთმობენ სალექსიკონო მუშაობას—უცნობი სიტყვების განმარტება-განმტკიცებას, განვლილი მასალის გამეორებას, თვალსაჩინოების მოხერხებულად გამოყენებას, რის შედეგად მათი მოსწავლეები ავლენენ პროგრამით გათვალისწინებული როგორც ლიტერატურული ისე, გრამატიკული მასალის კარგ ცოდნას. აღნიშნული მასწავლებლები დამაკმაყოფილებლად აწარმოებენ საკონტროლო და საკლასო წერით მუშაობასაც: იცავენ წერის ნორმებს და სახეებს, რვეულებს ასწორებენ გულდასმით, რეგულარულად ამუშავებენ ბავშვებს შეცდომების გასწორებაზე, კალიგრაფიის დახვეწაზე და სხვ.

მაგრამ შემოწმებულ მასწავლებელთაგან ზოგიერთი ვერ აჩერხებს გამოუმუშაოს ბავშვებს საკუთარი სიტყვებით გააზრებული თხრობის ჩვევები. ამის ნათელი დადასტურება იყო მეჯვრისხევის ეროვნული ბიბლიოთეკა საშუალო სკოლის I კლასის მასწავლებლის ქ. ბექუაშვილის გაკვეთილი, აღნიშნულ გაკვეთილზე მოსათხრობად მიცემულ მასალას—„ზეიმი სოფლად“—მოსწავლეები სიტყვა-სიტყვით ზეპირად წარმოთქვამდნენ. ასევე შეუგნებლად აქვთ ბავშვებს შესწავლილი გრამატიკული მასალა. მართალია მოსწავლეებმა განმარტეს რა არის ძახილის წინადადება, მაგრამ მაგალითის მოყვანა ვერ შესძლეს. მასწავლებელი ბექუაშვილი არადამაკმაყოფილებლად აწარმოებს სალექსიკონო მუშაობას. იგი არასწორად, ან არასრულყოფილად განმარტავს უცნობ სიტყვებს. ბავშვებს უჭირთ განვლილი მასალიდან მთელი რიგი სიტყვების („ითარეშის“, „წარმომადგენლები“ და სხვ.) სწორად წარმოთქმა, რადგან არ ესმით ამ სიტყვების შინაარსი.

სალექსიკონო მუშაობას არადამაკმაყოფილებლად ატარებენ აგრეთვე ამავე სკოლის III კლასის მასწავლებელი ე. ხელაშვილი, ვეჯინის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ნ. ბერიკაშვილი და სხვები.

მასწავლებელ ა. ხელაშვილის კლასში ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო განემარტა გაკვეთილად მიცემული ი. გრიშაშვილის ლექსიდან—„მოხუცის დარიგება“ სიტყვა „განირიდებს“. მასწავლებელმა ნ. ბერიკაშვილმა კი ახალი მასალის ახსნისას საჭიროდ არ ჩათვალა მიემართა კლასისათვის დაესახელებინათ მათთვის გაუგებარი სიტყვები. მან თავისი შეხედულებისამებრ შეარჩია რამდენიმე სიტყვა, რომლებსაც გზადაგზა ზერელედ განმარტავდა, მაგრამ ეს განმარტება არასრულყოფილი, ზოგჯერ კი მცდარი იყო. მაგალითად, სიტყვა „ანაბეჭდი“ ნარჩენიაო,—აღნიშნა მან.

დაბალ დონეზეა ნ. ბერიკაშვილის კლასში მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურა. ბავშვები წამღერებით, მონოტონურად, ქოშინით ლაპარაკობენ, ხშირად იმეორებენ ერთი და იგივე სიტყვას, მასწავლებელი კი ამას რეაგირების გარეშე ტოვებს.

მეტად მოსაწყენად, დუნედ ატარებს გაკვეთილს ვეჯინის საშუალო სკოლის I კლასის მასწავლებელი ა. უტიაშვილი. მან გაკვეთილის ორ მესამედზე მეტი მოსწავლეთა მიერ ტექსტის წაკითხვას მოანდომა და არც ერთხელ არ უცდია გამოეცოცხლებინა ბავშვები თუნდაც ფიზკულტურული მოძრაობით. სოფელ გურჯაა-

ნის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი ა. იმერლიშვილი და ვაზისუბნის საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ე. სოლომნიშვილი საკონტროლო და საკლასო წერის რვეულებზე არასაკმაოდ მუშაობენ იმისათვის, რომ დანერგონ მოსწავლეებში მერხზე ჯდომისა და კალმისტრის სწორად ხმარების ჩვევები. მოსწავლეები წერის დროს წვანან მერხებზე, ან ცხვირით ეხებიან რვეულს, რაც დიდად ვნებს მათს ჯანმრთელობას. მასწავლებელი ე. სოლომნიშვილი საკლასო წერას III კლასში, ნაცვლად გათვალისწინებული 20—25 წუთისა მთელ 45 წუთს ანდომებს. მასწავლებლები ა. გაბიტაშვილი, ა. იმერლიშვილი (სოფ. გურჯაანი), ქ. ბექუაშვილი, ე. ხელაშვილი, ი. ბერიძე (მელაანი), ნ. ბერიკაშვილი (ვეჯინი), მ. გოგოლაძე (სოფელი მახარაძე) ზერელედ ასწორებენ წერით ნამუშევრებს, შეუმჩნეველი და გაუსწორებელი რჩებათ უხეში ორთოგრაფიული, სტილისტური და პუნქტუაციური შეცდომები. მოსწავლეთა კალიგრაფია უხარისხოა. მასწავლებლები არ იყენებენ წერის ყველა სახეს და არ იცავენ ნორმებს.

ასე, მაგალითად, მასწავლებელი ა. გაბიტაშვილი III კლასში საწერ თემად აძლევს—„ცოტნე დადიანის თავგანწირვის" შინაარსს და ბავშვები იძულებული ხდებიან რვეულის ორი გვერდი და მეტი გაავსონ ტექსტით, მაშინ, როდესაც საკლასო წერითი ნამუშევრის მოცულობა მესამე კლასში არ უნდა აღემატებოდეს 30—40 სიტყვას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ვერც დროში თავსდება (20—25 წუთი).

სოფ. გურჯაანის, ვეჯინის და ვაზისუბნის საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში არ გააჩნიათ საჭირო დახაზულობის დაფები, რის გამო მასწავლებლებს დიდი დრო ეკარგებათ დაფების ცარცით დახაზვაზე, და რაც მთავრია, ცარცით დახაზულ ბადეში ჩაწერილი ასოები არ მოჩანს გამოკვეთილად, როგორც ეს საჭიროა.

ზოგიერთ სკოლაში მერხები მოსწავლეთა ასაკისათვის სრულიად შეუფერებელია. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ჩაცმულობას, პირად ჰიგიენას და თმის ვარცხნილობას, არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები ჩექმებით და ქურქებით სხედან გაკვეთილებზე, უსუფთაო აქვთ ხელები და ფრჩხილები. როგორც წესი ბავშვებს ფორმის ტანსაცმელი არ აცვიათ.

კარგად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ა. ჯორჯაძე, მ. ცისკარიშვილი (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), ა. მღებრიშვილი (ველისციხის საშუალო სკოლა) და გ. ბიბილაშვილი (ვეჯინის საშუალო სკოლა). ეს მასწავლებლები მოსწავლეებში დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობენ, კლასებში სანიმუშო დისციპლინაა, მუშაობაში აბამენ მთელ კლასს, მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს აანალიზებენ წერილობით დაფაზე. საუცხოოდ ხსნიან ახალ მასალას. მოსწავლეები მკვიდრ და საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ. მასწავლებლები ზედმიწევნით კეთილსინდისიერად ასწორებენ მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სკოლაში სერიოზული ნაკლოვანებებია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში.

სოფელ მახარაძის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. შიოშვილი ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. VII კლასის არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა გაკვეთილი. გრ. ორბელიანის—„თამარის დროშა გაშალეს“, გამოკითხვის დროს ყველა მოსწავლეს გადაშლილი ჰქონდა წიგნი და მოურიდებლად კარნახობდნენ, მასწავლებელს არ გაუსწორებია მოსწავლეთა მიერ დაშვებული არცერთი შეცდომა. ახალ მასალას—გრ. ორბელიანის „განთიადს“ მასწავლებელი უსუსურად ხსნიდა, ამის გამო მოსწავლეები მას არ უსმენდნენ, ვერცერთი მოსწავლე ვერ პასუხობდა ვ. შიოშვილის მიერ დასმულ კითხვებზე. ცუდადაა გასწორებული საკონტროლო ნამუშევრები. რვეულებში შეუმჩნევლადაა დარჩენილი ბევრი შეცდომა.

სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი თ. ჩალაძე) მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის უცოდინარობა, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის სამკაულებიდან მოსწავლეებმა მხოლოდ ის მაგალითები იციან, რომლებიც სასკოლო სახელმძღვანელოშია მოცემული. მასწავლებელი არ მოითხოვს, რომ მოსწავლეებმა ტექსტში მოძებნონ ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, მაჯამა თუ სხვა მხატვრული მხარეები, ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ „ვეფხისტყაოსნიდან“ არცერთი საკონტროლო წერა არ ჰქონდა ჩატარებული, დღეს, როდესაც რუსთველოლოგია ყურადღების ცენტრშია, მასწავლებელს არ ეპატიება ამ დიდებული ძეგლის ასეთ დაბალ დონეზე სწავლება.

ანალოგიურ გაკვეთილებს ატარებს IX კლასში სოფ. ვაზის-უბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. შაიშმელაშვილი.

სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი [illegible]ქელოვა (V კლასი) საშინაო დავალების შემოწმებას ახდენს ფორმალურად, შეუნიშნავი რჩება დაშვებული შეცდომები, მოსწავლეთა უმეტესობას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გაკვეთილის მსვლელობაში. ა. არაქელოვამ ზერელედ ახსნა ახალი მასალა—ადამიანთა სახელისა და გვარის ბრუნება. მასწავლებელმა სერიოზულად უნდა იზრუნოს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სოფელ მელაანის საშუალო სკოლის VIII კლასის მასწავლებელი ი. ბერიძე არ იჩენს სათანადო მომთხოვნელობას მოსწავლეთა მიმართ და ლიტერატურული კითხვის გაკვეთილს დაბალ დონეზე ატარებს, მას სჭირდება უფრო მეტი მუშაობა, მეტი დაინტერესება, რათა ახალი მასალა გაკვეთილზე გამოიყენოს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარის გაფართოების, პატრიოტული და ესთეტიკური მიზნებისათვის. ამავე სკოლის V კლასის მასწავლებელი მ. ცისკარიშვილი კლასს ვერ აბამს მუშაობაში, ახალ მასალას ხსნის მეტად მცირე დროში. არ აწარმოებს სათანადო მუშაობას ახალი მასალის განმტკიცებისათვის და სხვა.

მასწავლებლები ე. ქიტუაშვილი, ნ. ბაინდუროვა (ველისციხის საშუალო სკოლა), ზ. რუსიაშვილი, ნ. დათუნაშვილი, ე. სამნიაშვილი (ვაზისუბნის საშუალო სკოლა), თ. ქაჩლიშვილი (სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლა), გულმოდგინედ და ბეჯითად არ ემზადებიან გაკვეთილისათვის, ენის გაკვეთილებს ატარებენ ყოველგვარი დიდაქტიკური მასალის, სქემებისა და ტაბულების გარეშე, ახალი მასალის ახსნისას იშვიათად აწერინებენ მოსწავლეებს მაგალითებს დაფაზე და არ არკვევენ ზმნის დროს, კილოს, ასპექტს, მწკრივს და სხვას. არ აძებნინებენ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში საჭირო წინადადებებს, გაკვეთილზე დაშვებული შეცდომები გაუსწორებელი რჩებათ. არ ახდენენ ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი, ლექსიკური და პოეტური მხარეების ანალიზს, მუშაობაში ვერ აბამენ მთელ კლასს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საკლასო-საშინაო და საკონტროლო წერითი ნამუშევრების გასწორების საქმეს. მოუმზადებლად ატარებენ საკონტროლო წერებს, რითაც უნდა აიხსნას ის მოუთმენელი მდგომარეობა, რაც ვაზისუბნის (დირექტორი გ. ლოლაძე, მასწავლებელი ზ. რუსიაშვილი), ვეჯინის (დირექტორი შ. გაბიტაშვილი, მასწავლებელი გ. ბიბილაშვილი), ველისციხის (დირექტორი ი. ქიტოშვილი, მასწავლებელი

ე. ქიტუაშვილი) საშუალო სკოლების X კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა გვიჩვენეს. ნამუშევართა უმეტესობა არ ამოწურავს თემის შინაარსს, მოსწავლეებმა არ იციან ფაქტიური მასალა, წინადადებები გაუმართავია სტილისტურად; დაშვებულია აზრობრივი, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სხვა ხასიათის ენობრივი შეცდომები და მიუხედავად ამისა, მათი ნამუშევრები ლიბერალურად შეაფასეს. თუ ნაწერებს ობიექტურად გავასწორებთ, დამაკმაყოფილებელ ნიშანს მხოლოდ რამდენიმე ნამუშევარი დაიმსახურებს.

ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდკომისიების მუშაობა წაკითხული მოხსენებები არ ასახავს მასწავლებლის პირად გამოცდილებას.

გურჯაანის რაიონის შემოწმებული სკოლების რიგ კლასებში მათემატიკის სწავლება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. კარგად მუშაობს ვეჯინის საშუალო სკოლის მასწავლებელი ზ. მთივლიშვილი. იგი სწორად ამოწმებს საშინაო დავალებას, რაციონალურად იყენებს დროს, ყველა მოსწავლე ჩაბმული ჰყავს მუშაობაში, ზუსტად იცავს გაკვეთილის მომენტებს და ცდილობს გაზარდოს მოსწავლეთა ინტერესი გაკვეთილისადმი, კლასმა იცის გავლილი მასალა. კარგად აქვთ ათვისებული საპროგრამო მასალა ვეჯინისა და მელაანის საშუალო სკოლების V კლასების მოსწავლეებს (მასწავლებლები ა. ჯამატაშვილი და თ. მარჩილაშვილი) არითმეტიკაში. შეგნებულად იციან მოქმედებანი ნატურალურ და წილადურ რიცხვებზე, რიცხვთა გაყოფადობის ნიშნები, არითმეტიკულ მოქმედებათა კანონები და სხვა.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, მათემატიკის სწავლებაში ადგილი აქვს საგრძნობ ნაკლოვანებებს. დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს გეომეტრიაში VIII კლასში ველისციხის საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. სარქისოვი. პითაგორის თეორემის გამოყენებით ამოცანების გადაწყვეტაზე მუშაობას მომაბეზრებლად, ნელა, მოსწავლეთა პასიური მონაწილეობით აწარმოებდა. მასწავლებელი მოსწავლეებისაგან არ მოითხოვდა ზოგიერთ გამოანგარიშებათა ზეპირად შესრულებას. ზედმეტი ჩანაწერებით დაფა გაავსო, ძირითადი კი, რაც ამოხსნისას მთავარს წარმოადგენდა, დაიჩრდილა და მოსწავლეთა შეგნებამდე ვერ დავიდა. იგი არ ზრუნავს მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. თვითონ ხსნის ყველა კვანძს.

მოსწავლეები მხოლოდ შესრულებულ მოქმედებათა მექანიკურად გადმოწერას აწარმოებენ. ძალზე სუსტად იციან მოსწავლეებმა გავლილი მასალა, ისინი ვერცერთ საკითხზე ვერ იძლევიან სწორ პასუხს. უხარისხოდ ჩაატარა გეომეტრიის გაკვეთილი VI კლასში ამავე სკოლის მასწავლებელმა ა. აკოლაშვილმა, მოსწავლეებმა არ იცოდნენ საშინაო დავალება. ტოლფერდა სამკუთხედების თვისებების ჩამოყალიბებისას არაფერს ამბობდნენ ფუძესთან მდებარე კუთხეების ტოლობაზე, ვერ ახერხებდნენ იმის დამტკიცებას, რომ ტოლფერდა სამკუთხედის წვეროსთან მდებარე კუთხის ბისექტრისა ამავე დროს სამკუთხედის სიმაღლეც არის.

ახალი მასალა სამკუთხედის აგება მოცემული ერთი ან ორი ელემენტის მეშვეობით მასწავლებელმა ძალზე უსისტემოდ ახსნა. იგი მოსწავლეებს აფრთხილებს ააგეთ ნახაზები, თუმცა მათ არავითარი ნახაზი არ აუგიათ და არც ჩანაწერი გაუკეთებიათ. მასწავლებელი ცუდად (ფარგლისა და სახაზავის გამოყენების გარეშე) აგებს ნახაზს, არარაციონალურად იყენებს დაფას, ხმარობს არაზუსტ გამოთქმებს.

სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის ვეჯინის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ოსიაშვილი. იგი მოსწავლეებს არ აძლევს გასამეორებლად იმ საკითხებს, რომელთა ბაზაზედაც უნდა აიგოს ახალი მასალა. მე-7 კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე ტრაპეციის შესახებ ამოცანების ამოხსნა მოსწავლეთათვის მისაწვდომი და ადვილად გასაგები რომ გამხდარიყო, აუცილებელი იყო მათ წინასწარ გაემეორებინათ ორი პარალელური სწორის მესამეთი გადაკვეთისას მიღებული შიდა ჯვარედინა და ტოლფერდა სამკუთხედის ფუძესთან მდებარე კუთხეების თვისებები. მრავალკუთხედის და კერძოდ, ტრაპეციის პერიმეტრის განსაზღვრა და სხვა. ეს საკითხები კლასს გასამეორებლად არ ჰქონდა მიცემული და არც იცოდა. ამასთან ერთად, მასწავლებელმა არ დაიცვა ამოცანის ამოხსნის თანმიმდევრობა და ამიტომ მოსწავლეები ძალზე პასიურობდნენ, შეუგნებლად ასრულებდნენ ამა თუ იმ მოქმედებას და ამოცანის ამოხსნის გზა თითქმის გაუგებარი დარჩა.

მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა, ვერ ამოხსნეს მარტივი ამოცანა—„პარალელოგრამის ორი კუთხე ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 2:3. იპოვეთ პარალელოგრამის კუთხეები. ან როგორ შეიძლება რაიმე იცოდნენ პარალელოგრამისა და ტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეციის შესახებ, როცა წარმოდგენა არ აქვთ პარალელური სწორი ხაზების შესახებ.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მელაანის საშუალო სკოლის VIII კლასში, გეომეტრიის გაკვეთილზე. მასწავლებელმა მ. იროშაშვილმა ზერელედ მოაწყო საშინაო დავალების შემოწმება, ვერ დაადგინა, რომელ მოსწავლეს ჰქონდა დავალება შესრულებული დამოუკიდებლად და რომელს არა. დაშვებული შეცდომების შესახებ არ მისცა მოსწავლეებს საჭირო ახსნა-განმარტება. მასწავლებელი მოუფიქრებლად სვამდა კითხვებს—„შეიძლება თუ არა ნებისმიერი ორი კვადრატი ან ორი მართკუთხედი იყოს მსგავსი“? ყოველგვარი ანალიზისა და განმარტების გარეშე ორივე კითხვას თვითონვე გასცა პასუხი—„კი“. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი კითხვა არ არის სწორად ჩამოყალიბებული, ხოლო მეორე კითხვაზე გაცემული პასუხი არასწორია, რადგან მართკუთხედები მხოლოდ მაშინაა მსგავსი, როდესაც გვერდები პროპორციულია. ახალი მასალა—მსგავსი მრავალკუთხედების მსგავს სამკუთხედებად დაყოფის შესახებ, მასწავლებელმა თხრობით გადასცა, მის საუბარს მოსწავლეები ვერ გებულობდნენ და ამიტომ არც უსმენდნენ. ბუნებრივია მოსწავლეთა მომზადება დაბალია, ისინი ვერ ერკვევიან ნაკვთების მსგავსების საკითხში, არ იციან როგორ მონაკვეთებს ეწოდება პროპორციული მონაკვეთები და სხვ.

სუსტად იციან გავლილი საპროგრამო მასალა ალგებრაში ველისციხის, ვაზისუბნის, სოფ. გურჯაანის, მელაანის (მასწავლებლები (ნ. გელაშვილი, ე. ჟამგურაშვილი, ზ. წვერიკმაზაშვილი, მ. ბიწკინაშვილი, ლ. წნორიშვილი), საშუალო სკოლების VII—VIII კლასის მოსწავლეებმა. ისინი ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ იგივეობასა და განტოლებას, ორი რიცხვის სხვაობის კუბს და ორი რიცხვის კუბების სხვაობას, არ იციან განტოლება და მისი ძირითადი თვისებები, ტოლფასი განტოლებები, ფესვის არითმეტიკული მნიშვნელობა, ფესვების გამარტივება, თანამამრავლის გამოტანა რადიკალის ნიშნის გარეთ, ფესვქვეშა გამოსახულების წილადისაგან განთავისუფლება და სხვა. უფრო მეტიც, ვაზისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. ჟამურაშვილმა VII კლასში თვითონ ვერ ამოხსნა ამოცანა—„აუზი ერთი მილით ივსება $t_1$ საათში, მეორეთი კი $t_2$ საათში, რამდენი დროის განმავლობაში გაივსება აუზი თუ ერთდროულად ორივე მილს გავხსნით? გამოვიანგარიშოთ თუ $t_1=8$, $t_2=12$“, მასწავლებელმა „ამოხსნა“

ასე ჩაატარა „თუ ერთი მილით აუზი ივსება $f_1$ საათში, ხოლო მეორეთი $t_2$ საათში, ორივე მილის ერთდროული მოქმედებით აუზი ივსება $(t_1+t_2)$ საათში. შეიტანა რიცხვითი მნიშვნელობები და მიიღო 8+12=20 საათი. მას ამ ტიპის ამოცანა არასოდეს არ გამოუყვანია, თორემ 27 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებლისათვის ასეთი უხეში შეცდომის დაშვება წარმოუდგენელია.

საგნის უცოდინარობას ამჟღავნებს სოფ. მახარაძის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. მსუქნიშვილი, იგი უსისტემოდ და შეცდომით ხსნის მთელ რიგ საკითხებს. მან პროპორციულ გაყოფაზე VI კლასს მისცა მაგალითი 7.260 გავყოთ სამ ისეთ ნაწილად, რომელთა შეფასება უდრის 0,4:1:0,6. მასწავლებლის მითითებით 7.260:3=2620; 2620-ს ჯერ ამრავლებენ 0,4-ზე, შემდეგ ერთზე და ბოლოს 0,6-ზე და ღებულობენ რიცხვებს 1048-ს; 2620-ს და 1572-ს, რაც შემდგომ კომენტარს არ საჭიროებს. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აქ ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. მასწავლებელმა ლ. მსუქნიშვილმა თვალის ახვევისა და მოტყუების მიზნით შეცვალა V კლასის მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულები, რადგან საკონტროლო წერებზე არასწორად შედგენილი ამოცანები და მაგალითები ჰქონდა მიცემული. ასეთი მოქმედებით მასწვლებელმა დასცა თავისი ავტორიტეტი მოსწავლეთა შორის და ჩვენი აზრით მისი მასწავლებლად დატოვება შეუძლებელია.

ნაწილობრივ V—VIII კლასებში მათემატიკის სწავლების დაბალი დონით უნდა აიხსნას მოსწავლეთა მოუმზადებლობა IX—X კლასებში, განსაკუთრებით ის სავალალო შედეგები რაც X კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა გამოავლინა.

საკონტროლო წერებისათვის მოსწავლეებს მასწავლებლებთან შეთანხმებით მიეცათ საშუალო სიძნელის ამოცანები და მაგალითები. ველისციხის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ქიტოშვილი, მასწავლებელი მ. ქიტუაშვილი) 28 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 20-მა, მელაანის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ანთიძე, მასწავლებელი ნ. ნაზიროვა) 18-დან—10-მა, მახარაძის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. დოლიძე; მასწავლებელი მ. ხარიტონაშვილი (20-დან—18-მა, სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. ბაკაშვილი, მასწავლებელი ჩ. ქათამაშვილი, ა. ჯორჯაძე) 61-დან—58-მა; ასეთი ცუდი შედეგები გამოწვეულია იმით, რომ ჯეროვანი ყურადღება



ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ექცევა მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ძალზე ცუდად არის ნაწარმოები მოსწავლეთა საშინაო, საკლასო და საკონტროლო წერები, არ [illegible] მათი შემოწმება მაწავლებელთა მიერ; დარღვეულია წერის ნორმები სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის ყველა კლასში. საკონტროლო წერების დროს არ არის დაწესებული მკაცრი კონტროლი, ზოგჯერ მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს „გეზის“ მიცემით ამოცანების და მაგალითების გადაწყვეტის საქმეში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის X კლასში ვერ ამოხსნეს უკვე ამოხსნილი ამოცანებისა და მაგალითების მსგავსი ამოცანები და მაგალითები.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება. გაკვეთილებს მასწავლებლები ცუდად ხსნიან, უკეთეს შემთხვევაში კმაყოფილდებიან სასკოლო სახელმძღვანელოში მოცემული მასალის მოკლე შინაარსის გადაცემით, ვერ ახერხებენ მის შეგნებულად დაყვანას მოსწავლეებამდე, სათანადოდ არ იყენებენ თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს, ექსპერიმენტს და სხვ. ასე, მაგალითად, სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის მე-6 კლასში მასწავლებელმა ე. ნარეკლიშვილმა „ჰიდრავლიკური წნეხის“ ახსნისას არ აჩვენა წნევის გადაცემა მცირე კვეთის დგუშიდან დიდ დგუშზე, არ გამოიყენა სათანადო ფილმი, პლაკატი და სხვა სახის თვალსაჩინოება. მახარაძის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. ხუციშვილმა VIII კლასში ზეპირსიტყვიერად გადასცა „გამტარების გათბობა დენით“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გაუმეორებია წინა კლასის კურსიდან სითბოს რაოდენობა, ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა და სხვ.

მსგავსი ნაკლოვანებებით ხასიათდება ველისციხის საშუალო სკოლის VIII კლასის მასწავლებელ ა. მიტიჩაშვილის მიერ ჩატარებული გაკვეთილი თემაზე—„ელექტრული ვარვარების ნათურები და მათი ჩართვა ქსელში“.

შემოწმებული სკოლების მასწავლებლები იშვიათად ხსნიან ამოცანებს „ელექტრული დენის ელექტროლიტებში და გაზებში გავლაზე“, „ნახევარგამტარების თვისებებსა“ და სხვა საკითხებზე.

არ წარმოებს წინა კლასში ნასწავლი იმ საკითხების განმეორება, რომლებიც ორგანულ კავშირშია ახლად ახსნილ მასალასთან. ასე, მაგალითად, VIII კლასში „ბგერით მოვლენებთან“ დაკავშირებით არ არის განმეორებული VII კლასის კურსიდან „მექანიკური

მოძრაობა“, „პოტენციალური და კინეტიკური ენერგია“, „მექანი-კური ენერგიის ერთი სახიდან მეორეში გადასვლა“ და სხვა.

X კლასებში თემასთან „ელექტრული მუხტები, ელექტრული ველი“ დაკავშირებით არ არის განმეორებული IX კლასის კურსი-დან—„ძალა და მისი ერთეულები“, „ძალთა დაშლა და შეკრება“, „ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი“ და სხვ.

საგრძნობლად დაბალია მოსწავლეთა მომზადება მელაანისა (მასწავლებელი შ. ნათაძე) და სოფელ გურჯაანის (მასწავლებელი ე. ნარეკლიშვილი) საშუალო სკოლების VI კლასებში. მოსწავლე-ებმა სუსტად იციან ფართობისა და მოცულობის გაზომვა, კუთრი წონა. გამომუშავებული არა აქვთ ხელსაწყო-იარაღების ხმარების უნარ-ჩვევები. მაგალითად, მათ ვერ შესძლეს სხვადასხვა სახის დინამომეტრის და მენზურის გამოყენება და სხვ.

ვეჯინის (მასწავლებლები ვ. ორველაშვილი, ზ. ზავარაშვი-ლი), სოფელ მახარაძის (მასწავლებელი ე. ხუციშვილი) საშუალო სკოლის VIII კლასების მოსწავლეებმა ზერელედ იციან ცვლადი მოძრაობა, საშუალო სიჩქარე, მუშაობისა და სიმძლავრის ერთეუ-ლები, მუშაობის ტოლობის კანონი ბერკეტსა და დახრილ სი-ბრტყეზე.

ველისციხის (მასწავლებელი ა. მიტიჩაშვილი), მახარაძის, მელაანის საშუალო სკოლების VIII კლასების მოსწავლეები ვერ ახერხებენ ამპერმეტრის და ვოლტმეტრის გამოყენებას, ვერ ერკვე-ვიან გამტარების მიმდევრობით და პარალელურ შეერთებაში, დე-ნის მუშაობისა და სიმძლავრის ერთეულებში.

ველისციხის (მასწავლებელი ე. ტატიაშვილი), ვეჯინის (მა-სწავლებელი ზ. ზავარაშვილი), სოფელ გურჯაანის (მასწავლებლები ე. ნარეკლიშვილი და ლ. იაკობაშვილი) საშუალო სკოლების IX კლასების მოსწავლეებმა არ იციან ფორმულებში შემავალ ფიზიკურ სიდიდეთა შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება. სუსტად ერკვევიან ერთეულთა სისტემებში (CGSE და Si) ვერ ხსნიან ამო-ცანებს კინემატიკისა და დინამიკის საკითხებზე. ვეჯინის (მასწა-ვლებელი თ. გიგოლაშვილი), სოფელ გურჯაანის (მასწავლებელი ლ. იაკობაშვილი) საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა ზერელედ იციან ძირითადი ფიზიკური ცნებები, ვერ ახდენენ ფო-რმულების გაანალიზებას, ვერ ხსნიან ამოცანებს „მუდმივი დენის კანონებზე“, „ვაკუუმსა და ელექტროლიტებში ელექტრულ მო-ვლენებზე“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული სკოლების ფიზიკის მასწავლებლები არ აწარმოებენ ფრონტალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს, საკლასო ჟურნალებში კი ჩატარებულად აფორმებენ. არ სწარმოებს მოსწავლეთა პრაქტიკული ჩვევებისა და ცოდნის წერითი სახით შემოწმება. მოსწავლეებს მეოთხედურ შეფასებას აძლევენ მხოლოდ ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე, ამით შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ის ფაქტი, რომ საკონტროლო წერითმა სამუშაოებმა მეტად ცუდი შედეგი მოგვცა. სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის X კლასში (მასწავლებელი ე. ნარეკლიშვილი) 28 ნამუშევრიდან არადამაკმაყოფილებლად შეფასდა 24 ნამუშევარი, ვეჯინის საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ზ. ზავარაშვილი) 30-დან—21. VII კლასში მასწავლებელი ვ. ორველაშვილი) 28-დან—18. X კლასში (მასწავლებელი თ. გიგოლაშვილი) კი 28-დან—18.

შემოწმებული მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი მეცნიერული დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დაოსტატებისათვის. გულმოდგინედ არ მუშაობენ ახალი კონსტრუქციის ხელსაწყოთა გამოყენების, სასწავლო პროგრამებში ახლად შეტანილი საკითხების თეორიისა და მისი სწავლების მეთოდების დასაუფლებლად. მაგალითად, დამუშავებული არა აქვთ ერთეულთა საერთაშორისო სისტემისა და ნახევარგამტარების ელექტრული თვისებების სწავლების მეთოდები. დაუფლებული არ არიან „წრედის უბნისათვის ომის კანონის ახსნას ელექტრონულ წარმოდგენათა საფუძველზე", მათ სათანადოდ არ აქვთ დამუშავებული „პლაზმის ელემენტარული ფიზიკა", „ფიზიკა და ტექნიკური პროგრესი" და სხვა.

კარგად ისწავლება ქიმია სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლაში, მასწავლებელი ო. ბეციაშვილი საგნის კარგი მცოდნეა, მისი გაკვეთილები ღრმა შინაარსიანია, კითხვები გააზრებული. იგი მოსწავლეებს აჩვევს მოვლენათა ღრმად შესწავლასა და მათ ახსნას მიზეზობრივ კავშირში, გაკვეთილის პროცესში ჩაბმული ჰყავს მოსწავლეთა უმრავლესობა. ამით ილწევს წესრიგს და დაინტერესებას. კაბინეტის მოწყობილობა ძირითადად უზრუნველყოფს პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, მასწავლებელი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა ცდას და ლაბორატორიულ სამუშაოს ატარებს. სათანადო ყურადღებას უთმობს გავლილი მასალის გამეორებას. მოსწავლეებს პროგრამული მასალის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა აქვთ. დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღა-

ვნეს ველისციხის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ნ. ყვავაშვილი) VII—VIII კლასების, მელაანის (მასწავლებელი მ. პაპუაშვილი), მახარაძის (მასწავლებელი ვ. გეთიაშვილი), ვეჯინის (მასწავლებელი ე. ზარდიაშვილი) საშუალო სკოლების VIII და IX კლასების მოსწავლეებმა.

ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადება ქიმიაში ვაზისუბნის საშუალო სკოლის (მასწავლებელი გ. ბაციაშვილი) IX და X კლასებში.

IX კლასის მოსწავლეებმა დამოუკიდებლად ვერცერთ კითხვაზე ვერ გასცეს პასუხი, ისინი წიგნში ეძებდნენ განმარტებებს. არ იციან მეტალთა განლაგება პერიოდულ სისტემაში, ელემენტთა ვალენტობა ელექტრონული თეორიის თვალსაზრისით, ქლორ-წყალბადი, მისი მიღება და თვისებები, მარილმჟავას გამოყენება სახალხო მეურნეობაში და სხვ.

X კლასის მოსწავლეებმა არ იციან ორგანული ნაერთების ქიმიური აღნაგობის თეორია, იზომერია, ატომთა კოვალენტური კავშირი, ცნება დენური ნახშირწყალბადის შესახებ და სხვ.

მასწავლებელი არ ახდენს გავლილი მასალის სისტემატურ განმეორებას, რეგულარულად არ ავარჯიშებს მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე, არ აქვს ჩატარებული ყველა პრაქტიკული სამუშაო.

ასევე დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ველისციხის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ლ. ყვავიაშვილი) IX კლასებში.

ნორჩ ქიმიკოსთა წრეებში მეტწილად გათვალისწინებულია თეორიული ხასიათის საკითხები, არ ეწყობა სასწავლო ექსკურსიები, და სხვ.

ველისციხის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლებმა ნ. გოჩინაშვილმა და ე. სარიშვილმა V კლასებში მეთოდურად გამართული გაკვეთილები ჩაატარეს. გაკვეთილებზე იყენებენ თვალსაჩინოებას. მოსწავლეთა მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია, მათ საკმაო ლექსიკური მარაგი აქვთ. იციან ლექსები და სიმღერები.

მაგრამ უცხო ენების სწავლებაშიც ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს.

სოფელ მახარაძის საშუალო სკოლაში ინგლისურ ენას არასპეციალისტი ც. პაპიაშვილი ასწავლის. მან ენა ძალზე სუსტად იცის, გაკვეთილებს აკადემიურად და მეთოდურად დაბალ

დონეზე ატარებს, რის გამოც მოსწავლეებს რა უვარგათ არც კითხვისა და არც წერის ტექნიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეჯინის საშუალო სკოლაში გერმანულ ენას ორი მასწავლებელი ასწავლის. უცხო ენის სპეციალისტი მ. ბოჭორიშვილი და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ნ. გაბიტაშვილი.

V—VI კლასებში გერმანულ ენას ასწავლის ნ. გაბიტაშვილი, რომელიც ვერ ფლობს ენას, სიტყვებს არასწორად გამოთქვამს. სწავლების პირველ საფეხურზევე მოსწავლეები იმდენად ცუდად ითვისებენ ენას, რომ შემდგომ VII კლასიდან, როდესაც საგნის მცოდნე მასწავლებლის ხელში ხვდებიან, უჭირთ ამ ხარვეზების გამოსწორება, ამის შედეგია ის, რომ VII კლასის მოსწავლეებმა მომზადების დაბალი დონე გამოამჟღავნეს, არ ესმით მასწავლებლის საუბარი, ვერ პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ მარტივ კითხვებზედაც კი.

ველისციხის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელმა ნ. გოძიაშვილმა X კლასში ჩაატარა საკონტროლო წერა. მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ ვერ გაართვა თავი სამუშაოს. ამავე სკოლის მასწავლებელი მ. სვიმონიშვილი დამაკმაყოფილებლად ფლობს ინგლისურ ენას, მაგრამ გაკვეთილს ქართულ ენაზე ატარებს. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე. საკონტროლო წერითი სამუშაო VIII კლასში მხოლოდ 4—5 მოსწავლემ შეასრულა დამაკმაყოფილებლად. ასევე მშობლიურ ენაზე ატარებენ გაკვეთილებს ვაზისუბნის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლები ა. გოჩინაშვილი, ქ. კავთიაშვილი. ეს მასწავლებლები გაკვეთილებზე წერითა და თარგმნით იფარგლებიან, არ იყენებენ თვალსაჩინოებას გაკვეთილის სწავლების პროცესში მხოლოდ 4—5 მოსწავლის მონაწილეობით კმაყოფილდებიან.

შემოწმებულ სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სალექსიკონო და საშინაო დავალების რვეულების წარმოებას. იშვიათად სწორდება საშინაო დავალების რვეულები.

მეთოდგაერთიანებებში წაკითხული მოხსენებები ზოგადია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვაზისუბნის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლის ქ. კაკიაშვილის მოხსენებას—„ზეპირსიტყვიერების განვითარება V კლასში“, რომელიც მთლიანად აგებულია პრაქტიკოსი მასწავლებლის გამოცდილებაზე და იგი ნამდვილად გაუწევს დახმარებას პედაგოგებს მუშაობაში.

კარგად ასწავლის რუსულ ენას სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ჩიკვაიძე, იგი საფუძვლიანად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდს. დამაკმაყოფილებლად ასწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას ვეჯინისა და სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლების მასწავლებლები ნ. ბერიკაშვილი, ა. ბატმანოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ გურჯაანისა და მელაანის საშუალო სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები ტ. ღლონტი და შ. გოგოლაძე ვერ ფლობენ რუსულ ენას, მეტყველებაში უშვებენ უხეშ შეცდომებს.

მეტი მუშაობა მართებთ ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის მელაანისა და ვეჯინის საშუალო სკოლის მასწავლებლებს ნ. ჭიპაშვილს, თ. მათიაშვილს.

შემოწმებულ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა მეტყველების და წერის კულტურა. მოსწავლეთა დიდი ნაწილი წერს მეტად ცუდად, მეტყველებს დამახინჯებულად.

კარგად ასწავლიან ისტორიას მასწავლებლები უ. ქიტუაშვილი, ა. მიტიჩაშვილი (ველისციხის საშუალო სკოლა), გ. ნათიძე, ე. ბექუაშვილი, ც. ტატიაშვილი (მელაანის საშუალო სკოლა), ისინი ისტორიულ ფაქტებს და მოვლენებს მოუთხრობენ მოსწავლეებს ცოცხლად და საინტერესოდ. ისტორიის სწავლება ამ მასწავლებლების ხელში წარმოადგენს ისტორიული განვითარების კანონზომიერების შემეცნების საშუალებას, აძლევენ მოსწავლეებს მთლიან წარმოდგენას საზოგადოების განვითარებაზე, ყოველ საკითხს ასწავლიან იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში და სხვ.

ზოგიერთ სკოლაში კი ისტორიის სწავლების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ვაზისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებლები ე. უთალიშვილი და ქ. შანშიაშვილი სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის. ისინი ეწევიან წარსულის საქმეთა უსულგულო თხრობას, ვერ ახდენენ ისტორიული მოვლენების განხილვას მიზეზშედეგობრივ კავშირში, არ აწარმოებენ გავლილი მასალების განმეორებას, ნაკლებად იყენებენ სწავლებაში თვალსაჩინოებას. მოსწავლეებმა არ იციან ისტორიული ფაქტები და მოვლენები. მაგალითად, VIII კლასის (მასწავლებელი ე. უთალიშვილი) მოსწავლეებმა ვერაფერი თქვეს ინგლისის XVII

საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის, ინგლისის ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომისა და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნის შესახებ. საფრანგეთის XVIII საუკუნის (1789—1794 წწ.) ბურჟუაზიული რევოლუციისა, პირველი იმპერიის ომებისა, საფრანგეთის 1848 წლის თებერვლის, გერმანიის 1948 წლის მარტის რევოლუციებისა და სხვათა შესახებ.

IX კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ქ. შანშიაშვილი) არ იციან საფრანგეთ-პრუსიის ომი და პარიზის კომუნა, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, სამხრეთელი და დასავლეთელი სლავები, ამერიკის შეერთებული შტატები, მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის დამდეგს და სხვა საკითხები, რადგან მოსწავლეებისაგან არ მოითხოვენ ისტორიული მოვლენების ცოდნას, კითხვებზე მოსწავლეები გადაშლილი წიგნებიდან პასუხობენ. სრულიად უგულებელყოფენ გაკვეთილებზე საბჭოთა პატრიოტიზმის ხალხთა შორის მეგობრობის, ათეისტური სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლის VIII—IX კლასების (მასწავლებელი ა. ლაშქარაშვილი) მოსწავლეებმა. შესწავლილ სკოლებში არაა მოწყობილი ისტორიის კლასკაბინეტები და არ სწარმოებს სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან გეოგრაფიას ცალკეული მასწავლებლები. ველისციხის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ა. ტარასაშვილი გაკვეთილებზე არ იყენებს სათანადო რუკებს, ამიტომ ბავშვებმა ვერ დაასახელეს და ვერ გვიჩვენეს რუკაზე ევროპის სრუტეები, კუნძულები, ნახევარკუნძულები, ევროპის სოციალისტური ქვეყნები. მასწავლებელი საფუძვლიანად არ ხსნის ახალ მასალას, არ ხდის მას მოსწავლეთათვის გასაგებად. ასევე დაბალი მომზადება გამოავლინეს ვეჯინის (მასწავლებელი ო. სეფიაშვილი), ვაზისუბნის (მასწავლებელი შ. დათუნაშვილი) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. შემოწმებულ სკოლებში არ აქვთ კონტურული რუკები, არაა მოწყობილი გეოგრაფიის კაბინეტები და მოედნები, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ბუნების მოვლენებზე დაკვირვება.

განათლების სამინისტროს მითითების თანახმად გურჯაანის რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებულ პედკაბინეტში შექმნილია სასკოლო ბიბლიოთეკართა სექცია, რომელიც გარკვეულ

დახმარებას უწევს ბიბლიოთეკარებს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში (სასკოლო ბიბლიოთეკართა სექცია იკრიბება თვეში ერთხელ), მაგრამ შემოწმებული ბიბლიოთეკების მუშაობა ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.
ეროვნული ბიბლიოთეკა

მელაანის, ვეჯინისა და მახარაძის სკოლებში ბიბლიოთეკები შეუფერებელ, მეტად პატარა ბინებშია მოთავსებული და არ აქვთ ნორმალური პირობები მუშაობის გასაშლელად. ვაზისუბნის სასკოლო ბიბლიოთეკას დიდი და ნათელი ოთახი აქვს გამოყოფილი, მაგრამ არა აქვთ საკმაო რაოდენობით წიგნების თაროები, აკლიათ მაგიდები, სტენდები და სხვა ინვენტარი.

შედარებით ღარიბია წიგნადი ფონდით მახარაძისა და ვაზისუბნის საშუალო სკოლების ბიბლიოთეკები. სკოლებს არ აქვთ გამოწერილი რუსული საბავშვო ჟურნალ-გაზეთები „პიონერსკაია პრავდა“, „მურზილკა“, „პიონერი“ და სხვ.

წიგნის პროპაგანდის არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო მოსწავლეები არასაკმაო რაოდენობით არიან ჩაბმული ბიბლიოთეკებში. მაგალითად, ვაზისუბნის სასკოლო ბიბლიოთეკებში 170 მკითხველია, მაშინ, როდესაც სკოლაში 808 მოსწავლე ირიცხება. განსაკუთრებით მცირე რაოდენობით არიან ჩაბმული ბიბლიოთეკებში ზედა კლასების მოსწავლეები. მაგალითად, სოფელ გურჯაანის VIII კლასის 28 მოსწავლიდან—2, XI კლასის 32 მოსწავლიდან—5 მოსწავლე და სხვ., ასეთივე მდგომარეობაა მელაანის, ვაზისუბნის და მახარაძის საშუალო სკოლებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა იშვიათად სარგებლობს ბიბლიოთეკებში არსებული მეთოდური, მეცნიერული, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით. შემოწმებული სკოლების ბიბლიოთეკებში არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე წიგნადი ფონდის ბრუნვა. მკითხველთა უმრავლესობას სექტემბრიდან დღემდე მხოლოდ თითოჯერ აქვთ გატანილი წიგნი ბიბლიოთეკიდან.

სასკოლო ბიბლიოთეკებს არასაკმაო დახმარებას უწევენ კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები. მათი დახმარების გარეშე კი ძნელია გაიშალოს საინტერესო და შინაარსიანი მუშაობა ბიბლიოთეკაში.

სკოლის ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები საჭირო ზომებს არ ღებულობენ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისათვის, განთესილია სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლიდან—11, ველისციხის საშუალო სკოლიდან—9, ვაზისუბნის საშუალო სკოლიდან—6, ვეჯინის

საშუალო სკოლიდან—8, მელაანის საშუალო სკოლიდან—6 სასკოლო ასაკის ბავშვი.

დაბალია აკადემიური წარმატება. 1967—68 სასწავლო წლის I მეოთხედის ბოლოს რაიონის სკოლებში შეფასებულ 13.452 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 2.623 ბავშვი, ე. ი. 19,4%. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობა: 636 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 301, უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში. სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლაში შეფასებულ 745 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 195 (26%), მათ შორის I—IV კლასებში—49, ხოლო პირველ კლასებში—6 მოსწავლე. 37 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 22. ვაზისუბნის საშუალო სკოლაში 808 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებს 216 (27,8%) მათ შორის I—IV კლასებში—43 მოსწავლე, პირველ კლასში—7, X კლასში—32 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 14. 64 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 47. ველისციხის საშუალო სკოლაში შეფასებული 1.258 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 282 (22,4%), მათ შორის დაწყებით კლასებში—153, პირველ კლასში კი—19 ბავშვი, 67 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 34, ვეჯინის საშუალო სკოლაში 43 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 17, მელაანის საშუალო სკოლაში I—IV კლასებში ვერ ასწრებს 18 ბავშვი, მათ შორის პირველ კლასში—4.

რაიონის სკოლებში ვერ ასწრებს—კომკავშირელი 100, პიონერი—1.365, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს კოლექტივები ჯერ კიდევ არ გამხდარან მოწინავე კოლექტივებად მაღალი აკადემიური წარმატებებისა და შეგნებული დისციპლინისათვის ბრძოლაში. დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი საათების რაოდენობა. სასწავლო წლის პირველ ნახევარში რაიონის სკოლებში მოსწავლეთა მიერ გაცდენილია საპატიო მიზეზით 37.515 საათი, ხოლო არასაპატიო მიზეზით—11.683 საათი.

შემოწმებული სკოლების ცალკეული საგნების სწავლებაში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები პირველყოვლისა იმითაა გამოწვეული, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში, საფუძვლიანად არ იცნობენ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებს და ქმედით დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში, არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას და პრინციპულობას. სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლის დირექტორის ი. ბაკაშვილის მიერ

მოსმენილი კაკვეთილების ანალიზები ზერელეა, მასში არ ჩანს გაკვეთილების აკადემიური, იდეური, პედაგოგიური და მეთოდური მხარეები. ეს ანალიზები მხოლოდ გაკვეთილების მსვლელობის ფიქსაციას წარმოადგენს, უფრო მეტიც, ჩანაწერები იმდენად ნაჩქარევად არის დაწერილი, რომ მისი წაკითხვაც კი ჭირს. ამავე სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო მუშაობის დარგში გ. იმერლიშვილის გაკვეთილების ანალიზები უწიგნურად არის დაწერილი, ზოგადია და ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. აღნიშნული სკოლის დირექტორი ი. ბაკაშვილი და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ა. იმერლიშვილი შეეგუვნენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, ასე მაგალითად, ა. იმერლიშვილი 20 სექტემბერს X კლასში დასწრებია საკონტროლო წერას მათემატიკაში, ანალიზში წერს, რომ 6 მოსწავლე (დასახელებულია გვარები) სხვებისაგან იწერდნენ. მისივე დასკვნით მასწავლებელმა ობიექტურად შეაფასა მოსწავლეთა ნამუშევრები, მაშინ, როდესაც დასახელებული 6 მოსწავლიდან რამდენიმეს დადებითი ნიშანი უწერია. გამოდის, რომ დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში, რომლის თანდასწრებით საკონტროლო წერის დროს მოხდა გადაწერა, გადაწერილი ნამუშევრის „3“-ზე შეფასება ნორმალურ მოვლენად მიაჩნია.

ასევე სათანადო კონტროლსა და დახმარებას არ ახორციელებენ მასწავლებელთა მუშაობაზე ვაზისუბნის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ლოლაძე, მელაანის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ნათიძე, მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ნ. ნაზიროვა, ვეჯინის საშუალო სკოლის დირექტორი შ. გაბიტაშვილი და მისი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში ა. კაგოშვილი და ს. დიასამიძე, სოფელ მაჭარაძის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ნ. მოსულიშვილი.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლაში. ფორმალურადაა განხილული პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 21 აგვისტოს დადგენილება გასული სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი 1967—68 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ, იგი მასწავლებელმა ა. ჯორჯაძემ გააცნო პედაგოგიურ საბჭოს წაკითხვით. საბჭოს სხდომაზე არაფერია ნათქვამი კონკრეტულად სკოლის მუშაობაში არსებული ანალო-

გიური ნაკლოვანებების შესახებ, არ არის დასახული ღონისძიე-
ბანი მის გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მეოთხედის შედეგების განხილვისას არ არის გაა-
ნალიზებული სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში არსებული მოუ-
თმენელი ნაკლოვანებები. დაუმსახურებლადაა ნაქები მასწავლე-
ბლები, მაშინ, როდესაც დაწყებით კლასებში ვერ ასწრებს 49
ბავშვი და 9 მეორეწლიანი მოსწავლე, პირველ კლასში ვერ ასწ-
რებს 6 ბავშვი. სრულიად უგულებელყოფილია კრიტიკა და თვით-
კრიტიკა პედსაბჭოს ოქმში აღნიშნულია: „დამნაშავენი არიან ის
მასწავლებლები, რომლებიც ლიბერალურად წერენ ნიშნებს“, არაა
დასახელებული ვინ არიან ეს მასწავლებლები. შემდეგ კი ნათქვა-
მია—„მასწავლებელთა უმრავლესობა ჩვენს სკოლაში ყოველთვის
მომზადებული შედის გაკვეთილებზე, საგნის მასწავლებელთა და
კლასის ხელმძღვანელთა გულმოდგინე მუშაობის შედეგად გარკვე-
ული წარმატებები გაგვაჩნიათ და სხვ. თუ მასწავლებელთა უმ-
რავლესობა კარგად მუშაობს, რატომ არის ასეთი მძიმე მდგომა-
რეობა ძირითადი სასწავლო დისციპლინების სწავლებაში.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ვეჯინის,
მელაანის, ველისციხის, ვაზისუბნის საშუალო სკოლების პედაგოგიუ-
რი საბჭოების მუშაობა. პედსაბჭოს სხდომებზე საკითხები ზოგადადაა
განხილული და ღონისძიებებიც არაა კონკრეტული, მასწავლე-
ბლებსა და კლასის ხელმძღვანელებს ნაკლოვანებათა გამოსასწო-
რებლად არა აქვთ მიცემული დავალება-მითითებანი.

სოფელ გურჯაანის, ვეჯინის, მელაანის, მახარაძის, ველის-
ციხის, ვაზისუბნის საშუალო სკოლებში წლიურ გეგმებში არ ჩანს
სასწავლო დისციპლინების სწავლების, საპროგრამო მასალების
გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოების
გამოყენების, მოსწავლეთა იდეური, ათეისტური და ესთეტიკური
აღზრდის საკითხების შემოწმება. მას პედსაბჭოს სხდომებზე ფო-
რმალურად იხილავენ, არ ჩანს მასწავლებელთა წინადადებები თუ
რა საკითხები წამოაყენეს მათ დამატებით, ამგვარად გეგმა არ
წარმოადგენს მასწავლებელთა კოლექტიური აზრის ნაყოფს. სა-
ერთოდ, გეგმაში საკითხები კონკრეტულად არ არის გამოკვეთი-
ლი, არ ჩანს რა უნდა გაკეთდეს, როდის უნდა გაკეთდეს და ვის
მიერ უნდა შესრულდეს. ნაცვლად კალენდარული ვადებისა ჩაწე-
რილია—„სისტემატურად“ ან „სასწავლო წლის განმავლობაში“.

ასევე ზოგადი და ტრაფარეტულია კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველისციხის, სოფელ გურჯაანის, მელაანის, ვეჯინის, მახარაძის, ვაზისუბნის საშუალო სკოლების გაკვეთილების ცხრილი პედაგოგიური თვალსაზრისით არასწორადაა შედგენილი. სასწავლო დღეებში გაკვეთილები თანაბარი სიძნელის მიხედვით არ არის განაწილებული, მოსწავლეთათვის არის ძნელი და იოლი დღეები, სამსაათიანი სასწავლო დისციპლინები უშუალედოდაა განაწილებული, ორი და ერთ საათიანი დისციპლინები ცხრილში ზოგჯერ ორშაბათს და შაბათს არის მოთავსებული, ერთფეროვანი საგნები —ენები ან მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია ცხრილში მიჯრით, ერთმანეთზე მიყოლებითაა მოქცეული. ძნელადსათვისებელი საგნები კი ზოგჯერ უკანასკნელ მე-6 გაკვეთილებად არის ცხრილში შეტანილი.

რაიონის სკოლებში სრულყოფილად არაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები და სახელოსნოები. ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის გამო დაზარალდა სასწავლო კაბინეტები სოფელ მახარაძის (დირექტორი ა. დოლიძე), მელაანის (დირექტორი გ. ანთიძე) საშუალო სკოლებში, სისტემატურად არ ხდება კაბინეტების შევსება ხელსაწყო-იარაღებით, ინვენტარით, რეაქტივებით, ჭურჭლითა და აპარატურით, არ არის მოსწავლეთათვის ორ ადგილიანი ლაბორატორიული მაგიდები, სადემონსტრაციო მაგიდები მასწავლებელთათვის, მაგიდები არ არის დამაგრებული იატაკზე. მაგიდებთან მიყვანილი არ არის ელექტროდენი, არ აქვთ წყალგაყვანილობა, არ არის ამწოვი კარადები.

**შ. ლომიძე (ბრიგადის ხელმძღვანელი), ე. აგლაძე, თ. მელქაძე, გ. გიორგობიანი, ო. ვახტანგაძე, ტ. ფაჩუაშვილი, ო. ნემსაძე, მ. დოჭვირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 11 იანვრის ბრძანება № 17

## რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ

განათლების სამინისტროში არსებული საინსპექტორო ნარკვევებით, ქ. თბილისის, თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, წულუკიძის, ჩოხატაურისა და ვანის რაიონების სკოლების შემოწმებითა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზით დადასტურდა, რომ სახალხო განათლების ორგანოთა, სკოლების ხელმძღვანელთა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთ ნაწილს კარგად აქვთ შეგნებული ამ საგნის სწავლების დიდი მნიშვნელობა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.

მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან და სათანადო წარმატებებს აღწევენ შემოწმებული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ქ. ნიკურაძე, დ. სიჭინავა, ვ. ტაბიძე, ბ. ფუთურიძე (თბილისის I-ლი საშუალო სკოლა), ვ. მამფორია, გ. შალონიშვილი (თბილისის 88-ე საშუალო სკოლა), თ. ბაინდურაშვილი (თბილისის 126-ე საშუალო სკოლა), თ. სანოძე (წულუკიძის პირველი საშუალო სკოლა), ბ. წვერავა (წულუკიძის II საშუალო სკოლა), ლ. ლოლობერიძე (წულუკიძის III საშ. სკოლა) ვ. ადამია (მათხოჯის საშუალო სკოლა), მ. კევლიშვილი (თელავის IV საშუალო საშუალო სკოლა) მ. მეიფარიანი (საგარეჯოს II საშუალო სკოლა), ნ. ასათიანი (საგარეჯოს I-ლი საშუალო სკოლა), შ. გოგაძე (ვანის რაიონი, შუამთის საშუალო სკოლა).

იმ კლასებში, სადაც აღნიშნული მასწავლებლები ასწავლიან, მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელია. დასახელებული მასწავლებლები ქართული ენის გრამატიკის სწავლებას უკავშირებენ

ლიტერატურულ მასალას, სწავლებაში იყენებენ თვალსაჩინოებებს, ლიტერატურის სწავლების დროს მოსწავლეებისაგან მოითხოვენ ტექსტის ღრმა ცოდნას, ამუშავებენ ნაწარმოების მარტივი და რთული გეგმების შედგენაზე, ყურადღებას აქცევენ ნაწარმოების ლექსიკურსა და იდეურ-მხატვრულ მხარეებს.

კარგი შედეგები მოგვცა საკავშირო კონკურსმა თემაზე „ჩემი საბჭოთა სამშობლო". ერთი ნაშრომი პრემიერებულია საკავშირო ორგკომიტეტის მიერ, რიგი შრომები გამოქვეყნდა გაზ. „კომსომოლსკაია პრავდაში", „პიონერსკაია პრავდაში", „ნორჩ ლენინელში", „მალადიოჟ გრუზიისა" და „სოფლის ცხოვრებაში".

მიუხედავად ამისა, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მრავალი სკოლის V—VIII კლასებში ბავშვები სუსტად ფლობენ ენას, დაბალია ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დონე, სუსტია ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი. ბევრი სკოლის IX—X კლასებში ნაკლებად იგრძნობა ზრუნვა მხატვრული ნაწარმოების დამოუკიდებლად შესწავლისადმი, მოსწავლეებში გამომუშავებული არ არის სწორი წერის ჩვევები, ლიტერატურული ნაწარმოების დედააზრისა და დანიშნულებაში გარკვევის უნარი, მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა ხეირიანად არ იცის პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული ძეგლების შინაარსი.

რვაწლიან სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები: პ. სულაბერიძე (ვანის რაიონი, შუამთის საშუალო სკოლა), ა. კორძაძე (ვანის II საშუალო სკოლა), გ. გელაზონია (წულუკიძის I-ლი საშუალო სკოლა), ქ. მანაგაძე (წულუკიძის III საშუალო სკოლა), თ. ქაშიბაძე (მათხოჯის საშუალო სკოლა). IX—X კლასებში ქართულ ლიტერატურას სუსტად ასწავლიან: მ. არუმაშვილი (საგარეჯოს II საშუალო სკოლა), ვ. ყარაულაშვილი (თელავის რაიონი, რუისპირის საშუალო სკოლა), თ. კეკელია (წულუკიძის II საშუალო სკოლა).

სკოლებში მოთხოვნილებების შესაბამისად არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „მეთოდური მითითებები წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში". არ იცავენ წერის სახეებს, უმრავლეს შემთხვევაში IX—X კლასების მოსწავლეები ნაწარმოების ანალიზის ნაცვლად წერენ შინაარსს, მოქ-

მედი პირის თავგადასავლის მაგიერ დახასიათებას. უგულებელყოფილია შემოქმედებითი ხასიათის თემებზე მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი [illegible] დასმით არ ასწორებს და ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, მათი უმრავლესობა შინაარსით ერთფეროვანია, არ წარმოებს შეცდომების სრულყოფილად გასწორება, ასე მაგალითად, საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის (მასწავლებელი ნ. ცაგარეიშვილი) X² კლასის მოსწავლის მ. ქ-ის საკონტროლო წერით ნამუშევარში მასწავლებელს შეუნიშნავს 4 შეცდომა, შეუნიშნავი დარჩენია 15 შეცდომა და შეუფასებია ნიშან „5“-ზე, წულუკიძის I-ლი საშუალო სკოლის IX კლასის (მასწავლებელი ლ. ჩაკვეტაძე) მოსწავლეების გ-ას, ც-ეს, ა. ტ.-ეს 27 ოქტომბრის ნაწერებში მასწავლებელს შეუნიშნავს 20—30 შეცდომა თითოეულში და შეუფასებია ნიშან „3“-ზე. დამამთავრებელ X კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა არასასურველი შედეგები გამოავლინა. მაგალითად, თბილისის 99-ე საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი მ. ჯაფარიძე) 22 მოსწავლიდან საკონტროლო წერაში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 8 მოსწავლემ, ხოლო თბილისის 61-ე საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი რ. ხარაძე) 54 მოსწავლიდან—16-მა, წულუკიძის რაიონის მათხოჯის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი შ. მელაძე) 62 მოსწავლიდან—47-მა, წულუკიძის პირველი საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. ლ. ჩანკვეტაძე) 24 მოსწავლიდან—12-მა, წულუკიძის III საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ვ. ჩინჩალაძე) 34 მოსწავლიდან—13-მა.

აღსანიშნავია, რომ სხვა სკოლებშიაც საკონტროლო წერაში მოსწავლეთა თითქმის ნახევარმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. ხოლო ფრიადოსანი და კარგოსანი მოსწავლეები ხშირ შემთხვევაში ვერ ამართლებენ სკოლის მიერ დაწერილ შეფასებას და უფრო მეტად ღებულობენ დამაკმაყოფილებელ ანდა არადამაკმაყოფილებელ ნიშნებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, პირველ რიგში, ამ საგნის მასწავლებლების სუსტი მუშაობის შედეგია. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ იმაღლებს თავის პედაგოგიურ-მეცნიერულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეს, არ ემზადება გაკვეთილებისათვის.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგაერთიანებები. მათი სამუშაო გეგმები ზოგადია, წაკითხული მოხსენებები ზერელე და უწიგნურია. სკოლებში იშვიათად ეწყობა მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება-განზოგადება. მასწავლებელთა შორის ნაკლებად ტარდება ლექცია-მოხსენებები სწავლისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

შესწავლილ სკოლათა დიდ ნაწილში ფორმალურად არსებობს მოსწავლეთა საგნობრივ—აკადემიური წრეები. წრეებში არ იხილავენ ახლად გამოსულ მხატვრულ ნაწარმოებებს, იშვიათად აწყობენ ლიტერატურულ დილა-საღამოებს, ექსკურსიებს, მუზეუმებისა და ისტორიული ადგილების დათვალიერებას, თეატრალური დადგმების, კინოფილმების ნახვასა და განხილვას.

მოსწავლეთა ერთი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი ლიტერატურული ტექსტებით, სასკოლო ბიბლიოთეკის სერია საჭირო რაოდენობით არ ეგზავნება სკოლებს.

სასკოლო ბიბლიოთეკებსა და რაიონის პედაგოგიურ კაბინეტებს არა აქვთ საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ასეთი ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ დედა-ენის სწავლებას დაწყებით კლასებში არ ექცევა სათანადო ყურადღება. მთელი რიგი მასწავლებლები ხშირ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეებში სწორი კითხვის, სუფთად და ლამაზად წერის ჩვევათა გამომუშავებას, მათი ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. ბევრი მასწავლებელი, დაბალი კვალიფიკაციის გამო, ვერ ახერხებს გაკვეთილზე კითხვის, გრამატიკის, მართლწერისა და მეტყველების განვითარების საკითხებზე ერთდროულად მუშაობას, რის შედეგადაც მოსწავლეებს უფროს კლასებში უძნელდებათ სწორი კითხვა, სუფთად და ლამაზად წერა და სწორი მეტყველება.

ხშირ შემთხვევაში მასწავლებელთა კოლექტივები არ იბრძვიან სკოლაში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დასაცავად. შეინიშნება ისიც, რომ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები მოსწავლეებისაგან არ მოითხოვენ ენობრივად გამართულ მეტყველებას.

ზემოაღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებები იმითაცაა გამოწვეული რომ სკოლის ხელმძღვანელებმა და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა შეასუსტეს კონტროლი და დახმარება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისადმი. სკოლის დირექ-

ტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში ამოწმებენ გაკვეთილებს, მაგრამ მათი ანალიზები არ ასახავენ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების არსებულ მდგომარეობას, უფრო მეტ შემთხვევაში ისინი ზოგადია და სქემატური. ამ საგნის სწავლებას იშვიათად იხილავენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი არ იცნობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებსა და ინსტრუქციებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე.

ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობას სწავლობენ მხოლოდ სკოლების კომპლექსური შემოწმების დროს. შემოწმებული რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებს არ შეუსწავლიათ აღნიშნული საგნის სწავლების მდგომარეობა და არ გაუხდიათ ის სახალხო განათლების საბჭოს მსჯელობის საგნად. განათლების განყოფილებათა პედაგოგიური კაბინეტები სუსტად ეხმარებიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს პედაგოგიური და მეთოდური დახელოვნების საქმეში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) პერიოდულად შეისწავლონ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე;

ბ) სათანადო მუშაობა გაშალონ მშობლიურ ლიტერატურაში პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის ორგანიზებულად ჩატარებისათვის; მისცენ მითითებანი სკოლის ხელმძღვანელებსა და საგნის მასწავლებლებს, რომ მოსწავლეები ამუშაონ შემოქმედებითი ხასიათის თემებზე;

გ) გააძლიერონ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობა, გაუწიონ მათ მეთოდური დახმარება, განაზოგადონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება;

დ) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის მოაწყონ სემინარები, ლექციები და მოხსენებები სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებზე, ამ მუშაობაში ფართოდ ჩააბან მოწინავე, გამოცდილი მასწავლებლები, მეცნიერ მუშაკები; გადაჰ-

რით გააუმჯობესონ პედაგოგიური კაბინეტების მუშაობა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ასამაღლებლად;

ე) სკოლებში საკონტროლო წერის ჩატარებისას მასწავლებლებთან ერთად შეარჩიონ როგორც საპროგრამო, ისე შემოქმედებითი ხასიათის თემები;

ვ) ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობა განმეორებით შეისწავლონ სასწავლო წლის ბოლომდე და თუ მათ ვერ შეძლეს მუშაობის გამოსწორება, გაათავისუფლონ ისინი არსებული წესის დაცვით, ანდა ჩამოაქვეითონ დაბალ კლასებში;

ზ) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს შეუქმნან საჭირო პირობები მუშაობისათვის, უზრუნველყონ ისინი სათანადო მეთოდური ლიტერატურით და თვალსაჩინო მასალით.

2. სკოლის დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე. გულდასმით შეისწავლონ თითოეული მასწავლებლის მუშაობა, განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება;

ბ) პერიოდულად განიხილონ პედსაბჭოს სხდომაზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) მიიღონ საჭირო ზომები მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დონის ასამაღლებლად; მტკიცედ დაიცვან განათლების სამინისტროს მეთოდური მითითებანი ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების საკითხებზე.

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი მეთოდგაერთიანებისა და აკადემიური წრეების მუშაობა, აღმოფხვრან ამ დარგში არსებული ფორმალიზმი;

ე) საინტერესო გახადონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, ფართოდ გამოიყენონ ამ საქმიანობაში სასკოლო ბიბლიოთეკა, მუზეუმი, თეატრალური წარმოდგენები და კინოფილმები;

ვ) იბრძოლონ სკოლაში ენის სიწმინდისათვის, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მასწავლებელი ითხოვდეს მოსწავლეებისაგან სწორ წერასა და მეტყველებას; არ დაუშვან უწიგნურად კედლის

გაზეთების, ხელნაწერი ჟურნალების გამოშვება და საერთოდ სასკოლო დოკუმენტების შედგენა.

3. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა:

ა) ყოველდღიურად იზრუნონ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული დონის ამაღლებისათვის;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ გაკვეთილის ხარისხი, სწავლებაში გამოიყენონ აქტიური მეთოდები და თვალსაჩინო მასალა;

გ) ქართული ენის გრამატიკის სწავლება მჭიდროდ დაუკავშირონ ლიტერატურასა და ზეპირმეტყველებას, მეტი ყურადღება დაუთმონ პრაქტიკულ ვარჯიშს და მოსწავლეები მოამზადონ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისათვის:

დ) ღრმად შეასწავლონ მოსწავლეებს მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, საზეპირო ადგილები, ენა, ლექსიკა, იდეურ-მხატვრული მხარე;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღონ მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად; ავარჯიშონ ისინი შემოქმედებითი ხასიათის თემებზე, გულდასმით გაასწორონ და ობიექტურად შეაფასონ როგორც საკონტროლო, ისე საკლასო-საშინაო წერითი ნამუშევრები; მოსწავლეები ავარჯიშონ დაშვებულ შეცდომათა გასწორებაზე;

ვ) გააუმჯობესონ ლიტერატურის წრეების მუშაობა, კონტროლი დააწესონ კლასგარეშე კითხვაზე, სისტემატურად მოაწყონ ლიტერატურული ექსკურსიები, თეატრალური დადგმების, კინოფილმების ნახვა და განხილვა.

4. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე):

ა) ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოაცხადოს კონკურსი ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის საუკეთესო სახელმძღვანელოების შესაქმნელად;

ბ) განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად მოამზადოს ქართული ენის გრამატიკის სწავლებისათვის საჭირო ტაბულები, სქემები და სხვა თვალსაჩინო მასალა.

5. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე):

ა) უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებისათვის, ჩაატაროს ლექციები და მოხსენებები პედაგოგიურ-მეთოდურ საკითხებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოამზადოს დასაბეჭდად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მიერ „პედაგოგიურ კითხვაზე" მოწონებული თემები; სკოლებში მოაწყოს გამსვლელი სამეცნიერო სესიები და მეცნიერ მუშაკებთან პრაქტიკოს მასწავლებელთა შეხვედრები.

6. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) სემინარებისა და ლექციების ჩასატარებლად უფრო აქტიურად ჩააბას მაღალკვალიფიციური მეთოდისტები და მეცნიერები, გააუმჯობესოს საკურსო მუშაობა, რითაც ხელი შეუწყოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ამაღლების საქმეს.

7. გაზეთ „სახალხო განათლებამ" (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" (ამხ. გ. საჯაია) დარგობრივმა მეთოდიკურმა დამატებამ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" სისტემატურად გააშუქოს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები.

8. ეს ბრძანება ფართოდ იქნეს განხილული რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად.

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე; პერიოდულად შეისწავლოს ქალაქებსა და რაიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 29 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბერიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 17 იანვრის ბრძანება № 29

### ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 1 აპრილის № 452 და 3 მაისის № 589 ბრძანებებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლას გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული, განვლილ პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. საგანგებოდ ამაღლდა მოსწავლეთა ცოდნის დონე, განმტკიცდა დისციპლინა, რეგულარულად ტარდება პედაგოგიური საბჭოს სხდომები, რომელზედაც სისტემატურად იხილავენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლის დირექტორი ს. ნინუა და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში დ. ჩხეიძე ხშირად ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე და მათი მითითებები უფრო კონკრეტული და საქმიანია.

შედარებით უკეთ მუშაობენ მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებანი, სკოლაში კარგადაა დაყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, ჩატარებულია მრავალი საინტერესო ღონისძიება. პედაგოგიური თვალსაზრისით სწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი და სხვა.

სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური ბაზით, შენობა და ინვენტარი კარგადაა მოვლილი.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლება; კარგი მუშაობით გამოირჩევიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ტ. ჭანჭალეიშვილი და ე. გალდელავა, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები: ახობაძე, თ. ხაჟალია და ტ. სა-

ლირაშვილი, დაწყებითი კლასების მასწავლებლები: თ. ხუნდაძე და ტ. კიკაჩეიშვილი.

მიუხედავად სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ მიღწეული წარმატებისა, კვლავ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი; მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედში 794 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა—94, ხოლო 9 მეორეწლიანიდან 2. ჯერ კიდევ მოწოდების სამაღლეზე ვერ დგას მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტროს მიერ ქართულ ლიტერატურაში ჩატარებულ საკონტროლო წერაში 50 მეათეკლასელი მოსწავლიდან შეფასება „2“ მიიღო 24 მოსწავლემ, „3“—18-მა, „4“—8-მ, ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ წერითი კულტურის ამაღლებისათვის სკოლას და ამ საგნის მასწავლებლებს სერიოზული მუშაობა მართებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის მასწავლებლებმა ვ. ხურცილავამ და ა. ჯანჯალიამ გაიარეს მასწავლებელთა დახელოვნების კურსები და თავიანთი მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესეს, მათ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდებათ თავიანთი თეორიული ცოდნის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის.

გარკვეული ნაკლოვანებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება; V—VII კლასების მათემატიკის მასწავლებელი ს. ჩაგანავა სუსტადაა დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებს, იგი კლასს ვერ აბამს მუშაობაში, ვერ ამყარებს კავშირს ძველსა და ახალ მასალას შორის, არ უსწორებს მოსწავლეებს დაშვებულ შეცდომებს. VI კლასის მასწავლებელი მ. ლორთქიფანიძე ვერ ფლობს ამოცანის ამოხსნის ხერხებს, ვერ ერკვევა ამოცანების ტიპების შერჩევაში. VII—VIII კლასების მასწ. თ. ალავიძე არ არის დაუფლებული ამოცანების ამოხსნის ანალიზურ მეთოდს. არადამაკმაყოფილებელია VIII კლასის მომზადების დონე ალგებრაში. ამ კლასის 21 მოსწავლიდან 12-მა ვერ ამოხსნა უმარტივესი კვადრატული განტოლება. ანალოგიური ხარვეზებით ხასიათდება მასწ. ვაშაკიძის მუშაობა. $X^{2}$ კლასში (მასწ. ო. ნიკოლაიშვილი) ჩატარებულ საკონტროლო წერაში 22 მოსწავლიდან ნიშანი „3“ მიიღო 8-მ, ხოლო „2“—14-მა. ასევე სუსტად ასწავლის არითმეტიკას II კლასში თ. ყუფარაძე.

ფიზიკის სწავლებაში ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მოხსენებით რათში აღნიშნული სერიოზული ხარვეზები. ფიზიკის გაკვეთი-

ლები ისევ დაქუცმაცებულია. ადგილი აქვს ჩამორჩენას პროგრამული მასალის გავლაში. ნაკლები ყურადღება ექცევა ახალი მასალის გასაგებად, თვალსაჩინოების გამოყენებით ახსნას, ნასწავლი საკითხების გამეორებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. არ ტარდება პროგრამული მასალით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სადემონსტრაციო ცდა, ლაბორატორიული სამუშაოები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფიზიკის მასწავლებლები ც. ვაშაკიძე, ო. ნიკოლაიშვილი, ა. ვაშაკიძე სათანადოდ არ არიან დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, სუსტად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ სარგებლობენ საჭირო მეთოდური ლიტერატურით. ნაკლებად იცნობენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ა. ვაშაკიძე და ო. ნიკოლაიშვილი სკოლაში მათემატიკურ საგნებსაც ასწავლიან.

სკოლაში ბიოლოგიისა, ქიმიისა და სხვა საგნების სწავლებაში არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებათა იმ შესაძლებლობებს, რაც სკოლას გააჩნია. კეთილმოწყობას საჭიროებს სახელოსნოები, სპორტდარბაზი და ეზო.

ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა უზრუნველყონ მოსწავლეებში სწორი მეტყველებისა და დამოუკიდებელი წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

2. მათემატიკის მასწავლებლებმა პროგრამით გათვალისწინებული მასალა გადასცენ გასაგებად, თვალსაჩინოების გამოყენებით. სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები სათანადო სიძნელის მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნაზე და მისცენ მათ მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა.

3. ფიზიკის მასწავლებლებმა სისტემატურად განამტკიცონ თეორიული მასალის ცოდნა მოსწავლეებში სავალდებულო პრაქტიკული სავარჯიშოებისა და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით.

4. ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ისტორიული მოვლე-

ნის როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრას, მოსწავლეებში მყობრი მეცნიერული მსოფლმხედველობის შემუშავებას. ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სკოლის დირექტორმა და დირექტორის მოადგილემ სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მათემატიკის, ფიზიკისა და ისტორიის სწავლების საკითხებზე; მტკიცედ დანერგონ პრაქტიკაში მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება;

ბ) მიიღონ სათანადო ზომები სწავლებაში თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა ფართოდ გამოყენებისათვის;

გ) მტკიცე მეთვალყურეობა დააწესონ სკოლაში წერითი მუშაობის ნორმებისა და სახეების დაცვაზე.

6. სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ქ. ძნელაძე):

ა) აღნიშნული ბრძანება განიხილოს მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი ამ სკოლის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფიზიკის, მათემატიკისა და ისტორიის მასწავლებელთა პროფესიულ დახელოვნებასა და თეორიული დონის ამაღლებას. ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე პედაგოგები ჩააბას მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ერთწლიან დასწრებულ-დაუსწრებელ კურსებზე;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებლები ვერ შეძლებენ მუშაობის გარდაქმნას, არსებული წესის დაცვით, განათლების სამინისტროს წინაშე დააყენონ საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 5 იანვრის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბერიზაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 17 იანვრის ბრძანება № 30

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ორგანიზაციის შესახებ

სახალხო განათლების სისტემაში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ორგანიზაციის თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სახალხო განათლების სისტემაში მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ორგანიზაცია მოეწყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით, ამ მიზნით მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა):

ა) კვალიფიკაციის ამაღლების ყველა საკურსო ღონისძიებათა გეგმაში 1968 წლის 1 მარტიდან შეიტანოს სამოქალაქო თავდაცვა. იმ კურსების სასწავლო გეგმაში, რომელთა სწავლის ხანგრძლიობა ერთ თვეზე მეტია—40 საათის მოცულობით, ხოლო იმ კურსების სასწავლო გეგმაში, რომელთა სწავლის ხანგრძლიობა ერთ თვემდეა 20 საათის მოცულობით.

ბ) სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მსმენელთა ჯგუფები დააკომპლექტოს იმ ანგარიშით, რომ თითოეულ ჯგუფში ირიცხებოდეს არა ნაკლებ 20 კაცისა.

გ) სამოქალაქო თავდაცვის სრული კურსის გავლის შემდეგ, როგორც წესი მსმენელებისაგან მიიღონ ჩათვლა და ვინც წარმატებით ჩააბარებს, მათ მისცენ ცნობა დაწესებული ფორმის მიხედვით.

დ) 1968 წლის 1-ლ მარტამდე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მოაწყოს სამოქალაქო თავდაცვის სანიმუშო კაბინეტი—სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო განყოფილებათა მუშაკებმა (ამხ. ამხ. ა. ორახელაშვილმა და ი. უშვერიძემ):

ა) დროულად უზრუნველყონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები სამოქალაქო თავდაცვის პროგრამებითა და სათანადო ორგანიზაციულ-მეთოდური მითითებებით;

ბ) შეარჩიონ მაღალკვალიფიციური ლექტორთა კადრები და რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბთან შეთანხმებით, გაგზავნონ ისინი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის განკარგულებაში სამოქალაქო თავდაცვის კურსის ჩასატარებლად;

გ) ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამ ღონისძიების გატარებაში.

3. აღნიშნული ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 27 ნოემბრის № 1323 ბრძანების მე-5 პუნქტი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ო. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 19 იანვრის ბრძანება № 34

**სსრ კავშირის ხალხთა 1967 წლის IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების თაობაზე სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ**

სსრ კავშირის ხალხთა 1967 წლის IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) შეიმუშაონ და წარმოადგინონ წინადადებანი 1968 წლის ბიუჯეტის ფარგლებში:

ა) განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლად გარდაქმნის შესახებ 500 კაცის კონტინგენტით;

ბ) სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მოწესრიგების მიზნით 1968 წლის იანვრიდან განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ერთიან სასწავლო პროგრამებსა და გეგმებზე გადაყვანის შესახებ;

გ) ქ. თბილისში არსებული რაიონული სპორტული სკოლებისა და თბილისის განათლების განყოფილების კომპლექსური სპორტული სკოლის ბაზაზე სპორტული თამაშობებისათვის (კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი და სხვ.) ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის შექმნის შესახებ;

დ) მთელი წლის განმავლობაში მოსწავლეთა ნაკრები გუნდების წვრთნისათვის, 1968 წლიდან დაწყებული, 400 კაცისათვის 45 დღიანი საზაფხულო სპორტულ გამაჯანსაღებელი ბანაკის მოწყობის შესახებ; ამ მიზნით გაითვალისწინონ საჭირო ასიგნობანი განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის ბიუჯეტით.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ა. ჩხეტია):

ა) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასთან ერთად (ი. ბაცელაშვილი) დააჩქაროს № 1 სპეციალური სპორტული სკოლა-ინტერნატის მძლეოსნობის მანეჟის მეორე რიგის სამუშაოებისათვის ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა;

ბ) მოამზადოს 1968 წელს ტექნიკური დოკუმენტაცია № 2 სპორტული სკოლა-ინტერნატის სამდარბაზიანი სატანვარჯიშო კორპუსის და 25 მეტრიანი საზამთრო საცურაო აუზის (წყლის გათბობით) მშენებლობისათვის და გაითვალისწინოს მშენებლობა 1969 წელს.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ს. არველაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) დროულად წარუდგინონ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს განაცხადი და მიიღონ ზომები სკოლების სპორტული საქონლითა და ინვენტარით უზრუნველსაყოფად, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით განახორციელონ 1968—1969 წლებში სპორტული დარბაზების მიშენება სასკოლო შენობებზე, სკოლის კაპიტალური რემონტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ანგარიშში, აგრეთვე სპორტული სკოლების შენობებზე—დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების სახსრების ანგარიშში.

მიაღწიონ იმას, რომ ყველა სკოლას ჰქონდეს მარტივი ტიპის სპორტული ბაზები და შექმნილი იყოს აუცილებელი პირობები ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ჩასატარებლად;

ბ) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ბავშვთა სპორტული სკოლების მუშაობაზე, აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლე-

თა ფიზიკური აღზრდის საქმეში; მიაღწიონ იმას, რომ როგორც გაკვეთილები, ასევე კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ტარდებოდეს საპროგრამო მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

სისტემატურად განახორციელონ ღონისძიებანი ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კადრების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად და მათი პროფესიულ-პედაგოგიური მომზადების დონის ასამაღლებლად.

5. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) სისტემატური კონტროლი დააწესოს განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დარგში. პერიოდულად შეამოწმოს ადგილებზე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და მოსწავლეთა სპორტული დაოსტატების მდგომარეობა და შედეგები წარმოადგინოს სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 5 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება

## მშრომელთა წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების საქმის გაუმჯობესების შესახებ

1967 წლის 29 დეკემბერი

მიმდინარე წლის 28 ნოემბერს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა საკითხი მშრომელთა წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების საქმის გაუმჯობესების შესახებ და აღნიშნა, რომ მშრომელები თავიანთ წერილებში აყენებენ მთელ რიგ კონკრეტულ წინადადებებს სახალხო-სამეურნეო და კულტურის სხვადასხვა დარგში მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. ამასთან მიუთითებენ იმ ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებზე, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ საწარმოში და დაწესებულება-ორგანიზაციის საქმიანობაში.

მშრომელები მიმართავენ წერილებითა და განცხადებებით სხვადასხვა ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს პირად საქმეებზეც, სადაც აღნიშნავენ კანონებისა და უფლებების ცალკეული დარღვევების შესახებ, განსაკუთრებით საბინაო და შრომის საკითხების ირგვლივ.

მშრომელთა წერილები მაჩვენებელია მასების შემოქმედებითი აქტიობის ზრდისა, მათი შეუნელებელი ზრუნვისა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისათვის.

პარტია ყოველთვის ასწავლიდა ჩვენს კადრებს დროულად იზრუნონ საბჭოთა ადამიანებზე, გულისხმიერად მოეკიდონ მათს საჭიროებებს, მათს წინადადებებს, დროულად და ობიექტურად განიხილონ მათი წერილები და მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებანი.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში, ამ მიმართულებით, ჩატარებულია გარკვეული დადებითი მუშაობა. გაუმ-

ჯობესებულია მოქალაქეთა პირადი მიღების საქმე, წერილების და საჩივრების უმრავლესობის განხილვა წარმოებს დროულად, სათანადო პასუხისმგებლობითა და ყურადღებით.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეკიდებიან მოქალაქეთა წერილების და საჩივრების განხილვას, ხშირად ანალიზს არ უკეთებენ წერილების არსსა და ხასიათს, არ გამოაქვთ სწორი დასკვნები, არ ახორციელებენ მშრომელთა საჩივრების წარმოშობის მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის მტკიცე ღონისძიებებს.

მშრომელთა კანონიერი თხოვნისა და საჩივრებისადმი უყურადღებობა, მასთან საჭიროების გარეშე წერილების გადაგზავნა სხვა დაწესებულებებისათვის, იწვევს საკითხების გადაწყვეტის გაჭიანურებასა და ავტორების უკმაყოფილებას, ან განმეორებით საჩივრებს და ხშირად ზემდგომი ორგანოებისათვის მიმართვას ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა ადგილზე უნდა ხდებოდეს.

ხშირად დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები პირადად არ იღებენ მონაწილეობას საჩივრების განხილვაში და მას ანდობენ ისეთ მუშაკებს, რომლებიც უფლებამოსილი არ არიან გადაწყვიტონ საკითხები. ირღვევა საჩივრების განხილვისათვის დაწესებული ვადები, არის შემთხვევები, როდესაც იღებენ ზერელე გადაწყვეტილებებს. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ისეთი მანკიერი პრაქტიკა, როდესაც საჩივრებს განსახილველად უგზავნიან იმ პირსა და დაწესებულებას, რომელსაც განმცხადებელი უჩივის.

ზოგან არ არის მოწესრიგებული წერილების სათანადო აღრიცხვა, არ არის დაწესებული საჭირო კონტროლი მათ მოძრაობასა და სწორ გადაწყვეტაზე.

ბევრ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში საკითხის განხილვა წერილებზე მუშაობის შესახებ ხდება ზერელედ და არაკონკრეტულად. ბევრგან მკაცრად არ მოითხოვენ ხელმძღვანელებისაგან გულისხმიერ მიდგომას მშრომელთა საჩივრების განხილვის საქმისადმი. აიშკარავებენ შემრიგებლობას იმ თანამდებობის პირებისადმი, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან და ყოველნაირად აჭიანურებენ საქმეს.

ზოგან მოსახლეობის მიღების საქმეში არ არის დამყარებული წესრიგი, არ არის დადგენილი მიღების დღეები და საათები.

არ წარმოებს მომსვლელთა და მათ საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღრიცხვა.

პრესაში საკმაო რაოდენობით არ ქვეყნდება მასალები მშრომელთა წერილების განხილვის დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და საჩივრების განხილვაში საზოგადოებრიობის ჩაბმის ამ ახალი ფორმის პოპულარიზების შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ამასთან აღნიშნავს, რომ სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული, რის შედეგად საგრძნობლად გაძლიერდა სამმართველო-განყოფილებებში მშრომელთა წერილებისადმი ყურადღება. ამასთან ამაღლდა პასუხისმგებლობა და ყურადღება განცხადება საჩივრების დროულად და ამომწურავად განხილვისადმი.

მიუხედავად ამისა, სამინისტროს ზოგიერთი სამმართველო-განყოფილებებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებების საქმიანობას, ამ მიმართულებით, ახასიათებს ისეთი სახის ნაკლოვანებანი, რაც აღნიშნულია სადირექტივო ორგანოების დადგენილებაში.

კ ო ლ ე გ ი ა ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების უფროსებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელს:

ა) დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და მიიღონ გადამჭრელი ზომები მომავალში მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში ყოველგვარი ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმისა და გაჭიანურების აღსაკვეთად. გულდასმით შეისწავლონ შემოსული წერილები, განცხადებები და საჩივრები, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი საჩივრების წარმომშობი მიზეზების აღმოსაფხვრელად;

ბ) განცხადება-საჩივრები განიხილონ პირადად ხელმძღვანელებმა ან იმ პირებმა, რომელთაც მინდობილი აქვთ საკითხის არსებითად გადაწყვეტა;

გ) არ დაუშვან მშრომელთა წერილების ფორმალურად დაქვემდებარებულ ორგანოებზე გადაგზავნა, თუ ამის აუცილებელი საჭიროება არ არის;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კატეგორიულად აიკრძალოს საჩივრების გადაგზავნა იმ ორგანოებისა და პირებისათვის, რომელთაც უჩივიან წერილების ავტორები, ან აკრიტიკებენ მათ საქმიანობას;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განმეორებითი განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეს, ღრმად შეისწავლონ მათი წარმოშობის მიზეზები და მიიღონ ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც გამოიჩინეს უსულგულობა ან დაუდევრობა წინა განცხადების განხილვის დროს;

ე) აღკვეთონ მშრომელთა წერილების განხილვის ყოველგვარი გაჭიანურების შემთხვევები. ამასთან წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა არ გადააცილონ ერთ თვეს დღიდან მათი შემოტანისა;

იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მათი შემოწმებისა და განხილვისათვის უფრო მეტი დრო, წერილების ავტორებს ეცნობოთ ამის შესახებ დაგვიანების მიზეზის დასახელებით;

ვ) დაამყარონ წესრიგი მშრომელთა მიღების საქმეში, დააწესონ მიღებისათვის დღეები და საათები მომსვლელთა შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინებით. მაქსიმალურად უზრუნველყონ მშრომელთა მიღება პირადად ხელმძღვანელებმა და გამოიჩინონ გულისხმიერი დამოკიდებულება მათი კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისადმი;

ზ) მოაწყონ აქტივისა და აპარატის მუშაკთა სწავლება საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე და სისტემატურად გააცნონ მათ ახალი ნორმატიული აქტები და კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები;

თ) რეგულარულად შეისწავლონ მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა აპარატში და დაქვემდებარებულ ორგანოებსა და დაწესებულებებში, შედეგების შესახებ მოისმინონ: სამინისტროებმა—კოლეგიებზე, განათლების განყოფილებებმა საბჭოების სხდომებზე, ხოლო სამმართველო-განყოფილებებმა—ოპერატიულ თათბირებზე, და იმ პირთა მიმართ, რომლებიც მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში ამჟღავნებენ უსულგულო, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, მიიღონ მკაცრი ზომები.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა გახადონ კოლეგიის მსჯელობის საგნად განათლების ორგანოთა იმ ხელმძღვანელების საკითხი, რომლებიც აჭიანურებენ სამინისტროდან გადაგზავნილ მშრომელთა წერილებზე გადაწყვეტილების მიღებას ან სხვა დავალების დროულად შესრულებას.

3. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და მ-სმა ფილიალებმა განათლების განყოფილებათა გამგეების, ინსპექტორების, სკოლის დირექტორებისა და მათი მოადგილეებისათვის გათვალისწინებულ საკურსო ღონისძიებების სასწავლო გეგმებში შეიტანონ საჭირო საათები საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების, ახალი ნორმატიული აქტებისა და სხვა მასალების გასაცნობად.

4 კანცელარიის გამგემ (ამხ. ნ. მარგიშვილი) ზუსტი კონტროლი დააწესოს სამინისტროში შემოსულ მშრომელთა წერილების დროულად რეგისტრირებასა და სათანადო სამმართველო-განყოფილებებისათვის ჩაბარებაზე.

5. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ (ამხ. ვ. კეშელავა) თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 30 დეკემბრის ბრძანება № 1494

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სასპორტო სკოლაში ჩატარებული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგენილია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სასპორტო სკოლაში (დირექტორი დ. კინწურაშვილი) ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს. სპორტსკოლის შემოწმების დროს არ აღმოჩნდა სამუშაო დებულება. სპორტსკოლის შტატში მყოფი 15 მუშაკი ღებულობს 120—140 მანეთს ყოველთვიურად, ხოლო რა მუშაობას ატარებენ ისინი არ ჩანს, ვინაიდან შემოწმებისათვის სათანადო აღრიცხვა არ გააჩნდათ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 19 ივლისის № 928 ბრძანებით, გარდა 4 რაიონისა (თერთმეტი ფილიალი), გაუქმდა რაიონებში სპორტსკოლის ფილიალები და შეიქმნა სპორტული სკოლები, რესპუბლიკურ სასპორტო სკოლაში მაინც შენარჩუნებული იქნა ფილიალის გამგისა და მეთოდისტის შტატი და არ იქნა წარმოდგენილი წინადადება ამ შტატის გამოყენების შესახებ.

ადგილი აქვს მოწვეულ პირებზე (მწვრთნელები) თანხების უკანონოდ გაცემის შემთხვევებს. ჩაშლილია სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვა-ანგარიშგება, არ არის დანომრილი მაგარი და რბილი ინვენტარი. საწყობის გამგეს ბ. ლაცაბიძეს აღწერის შედეგად დააკლდა 36 წყვილი შალის ნახმარი კოსტუმი, რომელიც გაცემული იყო მწვრთნელებზე და 8 წყვილი სრულიად ახალი შალის კოსტუმი და სხვადასხვა სახის რბილი ინვენტარი, 8 ახალი კოსტუმი, დირექტორის განკარგულებით გაყიდულია ნაღდ ანგარიშზე, ხოლო თანხა შემოსავალში არ არის აღებული. ადგილი აქვს საფინანსო დისციპლინის დარღვევებს.

ხარჯთაღრიცხვის მუხლებში არის აუთვისებლობისა და გა- დახარჯვის შემთხვევები. დირექტორის უყურადღებობის შედეგა[illegible] 1967 წელს შეძენილი 100 ცალი რკინის საწოლიდან 40 ცალი [illegible] ღია ცის ქვეშ და უვარგისია ხმარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ შენობის რემონტისათვის გათვალის- წინებული თანხები ათვისებულია, შემოწმების დროს დეკემბერში სკოლის შენობა არ თბებოდა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) შეიმუ- შაოს და უახლოეს დროში წარმოადგინოს დასამტკიცებლად სას- პორტო სკოლის მუშაობის ახალი დებულება.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) და ფიზი- კური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) სასპორტო სკოლის უმაღლესი სპორტული დახელოვნების სკოლად გარდაქმნასთან დაკავშირებით შეადგინონ დაფინანსების გეგმა და წარმოადგინონ დასამტკიცებლად.

3. განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლის დირექტო- რი დ. ა. კინწურაშვილი მუშაობაში დაშვებული დარღვევებისა- თვის განთავისუფლდეს დირექტორის თანამდებობიდან.

4. სასპორტო სკოლის დირექციამ გაათავისუფლოს დაკავე- ბული თანამდებობიდან საწყობის გამგე ბ. ლაცაბიძე.

5. ცენტრალური ბუღალტერიის მთავარმა ბუღალტერმა მ. შეყლაშვილმა უახლოეს დროში მოაწესრიგოს ცენტრალიზებულ ბუ- ღალტერიაში შემავალ დაწესებულებათა სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვა-ანგარიშგების საქმე.

6. კადრების განყოფილებამ, ფიზიკური აღზრდისა და სპორ- ტის განყოფილებასთან ერთად, ათი დღის ვადაში წარმოადგინოს კანდიდატურა სპორტსკოლის დირექტორის თანამდებობაზე დასა- ნიშნავად.

7. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბა- ცელაშვილი) გააძლიეროს სასპორტო სკოლისადმი დახმარება და კონტროლი.

8. გამოიყოს კომისია საკონტროლო-სარევიზიო განყოფილე- ბის უფროსის ჯ. სვანიძის, კაპიტალური მშენებლობის განყოფი- ლების უფროსის ა. ჩხეტიას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

განყოფილების უფროსის ი. ბაცელაშვილის შემადგენლობით, კომელსაც დაევალოს ერთი თვის ვადაში შეამოწმოს 1962 წლიდან დღემდე სამინისტროს სასპორტო სკოლის შენობის რემონტზე გაცემული თანხების ხარჯვის სისწორე და შედეგები მოახსენოს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 22 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

# შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა


1. დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლის-თავისადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ . . . . . . . 3
2. ბრძანება № 10—კოჯრის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . 15
3. ბრძანება № 11—აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის კალდახვარის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 19
4. ბრძანება 15—ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების საშუალო სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . 22
5. ბრძანება № 16—გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 27
6. მოხსენებითი ბარათი გურჯაანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 31
7. ბრძანება № 17— რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54
8. ბრძანება № 29—ქ. სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . 62
9. ბრძანება № 30—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ორგანიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 66
10. ბრძანება № 34—სსრ კავშირის ხალხთა 1967 წლის IV საიუბილეო სპარტაკიადაში საქართველოს სსრ სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების თაობაზე სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 68
11. დადგენილება მშრომელთა წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების საქმის გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . . . 71
12. ბრძანება № 1494—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სასპორტო სკოლაში ჩატარებული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-68 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. 149. უე—00654 ტირაჟი 5.000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19